პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეექვსე წელიწადი

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა"-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ხუთშაბათი, 4 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 50 (1505)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ჩჟან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს არმიებმა ბრძოლა დაიწყეს ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ.
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა ლოკარნოს ხელშეკრულება.
- 1 მარტს ლენინგრადის რაიონში დაიწყო ძლიერი ქარ-ბუქი.
- გაზაფხულზე გაიხსნება მოსკოვ-პეკინის საფოსტო საჰაერო ხაზი.

საქართველოს კომპარტიის ც. კ.
გაფართოებული პლენუმი
ს.კ.პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად
შესდგება 5 მარტს
თბილისის აღმასკომის დარბაზში, საღამოს 6 საათზე
ს. კ. პ. ც. კ. მდივანი მ. კახიანი

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
მარტისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 24
მეორე სართული (ტელ. № 10—49).

ძმური სალამი საბჭოთა აფხაზეთს

დღეს საბჭოთა აფხაზეთი თავის არსებობის ხუთი წლის თავს დღესასწაულობს. არც ისე იაფად დასჯდომია აფხაზეთის მშრომელ ხალხს იმ თავისუფლების მოპოვება, რომლის გამარჯვებასაც ის დღეს ზეიმობს.

მენშევიკურ „დემოკრატიზმის ოაზისში", რომელმაც თავის ფარგლებში მოიქცია პატარა აფხაზეთიც, არა ერთხელ აღმართულა ბრძოლის სისხლში შეღებილი მცირე ერთა განთავისუფლების დროშა და ამ ბრძოლაში აფხაზეთის მშრომელი ხალხი მუდამ პირველ რიგებში იდგა.

სამი წლის განმავლობაში აფხაზეთი ძალათმაცხონე მენშევიკების შეიარაღებულ ბანდების ბანაკს წარმოადგენდა. მენშევიკურმა საქართველომ ჟანდარმერიისა და ტყვიისმფრქვევლების გარდა სხვა ენა ვერ გამონახა თავისუფლებისათვის მებრძოლ აფხაზებთან. საგანგებო კომისიების და სამხედრო აგენტების საშუალებით განაგებდა ამ მხარეს დემოკრატიული ხელისუფლება.

ერთი მხრივ დენიკინ-ალექსეევის შეიარაღებული შავი ლაშქარი და მეორე მხრივ მენშევიკურ სატრაპების განუკითხავი პარპაში, ასეთი იყო აფხაზეთის მშრომელი ხალხის მდგომარეობა, სანამ ოქტომბრის რევოლუციის ძლიერი ტალღა ამიერ-კავკასიის ქედ-გადმოღმაც არ შემოიჭრა.

მაგრამ ახლოვდებოდა მენშევიკების აღსასრულის დღე. 25 თებერვალს საბოლოოდ ჯვარი დაესვა „დემოკრატიულ ოაზისის" არსებობას. და სწორედ მაშინ, როცა მშრომელი ხალხის მიერ დევნილი მენშევიკური მთავრობა გარბოდა ბათუმის ნავთსადგურისაკენ, ანტანტის კრეისერები ყუმბარებით უმასპინძლდებოდა აფხაზეთის მშრომელ გლეხობას.

მაგრამ ეს იყო მენშევიკურ რეჟიმის უკანასკნელი სასიკვდილო გაზმორება. აფხაზეთის განთავისუფლების საათი ახლოვდებოდა. 4 მარტს გამარჯვებული წითელი დროშა აფხაზეთის მთა-მინდვრებშიც აფრიალდა.

დღეს უკვე ხუთი წელია აფხაზეთის მშრომელი ხალხი თვით განაგებს საკუთარ ბედს. საბჭოთა აფხაზეთის მაგალითზე ჩვენ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ მცირე ერთა თავისუფლების, ნაციონალურ სოლიდარობის და თანამშრომლობის შესაძლებლობას, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება იძლევა.

საქართველოს სხვა მშრომელ ერებთან მჭიდრო კავშირში განთავისუფლებული აფხაზეთი ამ 5 წლის განმავლობაში ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკურ სატრაპების მიერ დაღუპვის კარამდე მიყვანილ მეურნეობის აღსადგენად. მან შესძლო ამ ხნის განმავლობაში ომამდე არსებულ დონემდე აყვანა. ქვეყნის მთავარი სამეურნეო დარგი მეთამბაქოობა, რომელიც გასაბჭოების პირველ დღეებში თითქმის მთლად განადგურებული იყო.

ეს პატარა, მაგრამ ბუნებრივი სიმდიდრით უხვად დაჯილდოებული მხარე, ეკონომიურ წარმატების ფართო შესაძლებლობას იძლევა. დღეს აფხაზეთის მშრომელი ხალხისათვის გზა გახსნილია, ეკონომიურ და კულტურულ წინმსვლელობისათვის. ეს წინმსვლელობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა განვლილ ხუთი წლის განმავლობაში, შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

უკვე მიღწეული გამარჯვებანი იმის უტყუარი თავდებია, რომ განთავისუფლებული აფხაზეთი საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა მშრომელ ერებთან ერთად მტკიცედ წავა წინ, დიდი ოქტომბრის გამოჭედილ 4 მარტის სახელოვან გზით.

მდგომარეობის გამწვავება

მწვავდება ბრძოლა ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის გაფართოების საკითხის გარშემო. მას შემდეგ, რაც ლოკარნოს ხელშეკრულების თანახმად, გერმანიამ გადასწყვიტა ერთა ლიგაში შესვლა და საამისო შუამდგომლობაც აღძრა, ზოგიერთი სხვა ქვეყნებიც მოითხოვენ, რათა მათ, გერმანიასთან ერთად, მუდმივი ადგილი დაეთმოთ ლიგის საბჭოში.

პირველ რიგში აქ დგას პოლონეთი. პოლონეთის მოსაზრება ასეთია: როცა გერმანიის წარმომადგენელს ერთა ლიგის ხელმძღვანელ ორგანოში მუდმივი ადგილი მიეცემა, იგი მოინდომებს იქ დასვას საკითხი პოლონეთ-გერმანიის საზღვრების გადასინჯვის, პოლონეთში მოსახლე გერმანელ ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფის და საერთოდ გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის პირველის სასარგებლოდ შეცვლის შესახებ და ამ მხრივ შეეცდება ერთა ლიგაზე გავლენის მოხდენას; და რომ ეს განზრახვა გაქარწყლებულ იქნას, პოლონეთსაც უნდა ჰყავდეს ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი დელეგატი, რომელსაც ისეთივე უფლებები ექნება, როგორც გერმანიისას და რომელიც პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ გერმანიის პრეტენზიებს წინ აღუდგება.

პოლონეთს ენერგიულად უჭერს მხარს საფრანგეთი. უკანასკნელს პოლონეთი ამ შემთხვევაში ესაჭიროება როგორც გერმანიის, ისე ინგლისის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. როგორც ვიცით, დღეს პოლონეთი საფრანგეთის გავლენის წრეშია მოქცეული და იმედი აქვს, რომ ერთა ლიგაშიც მისი პოლიტიკის იარაღი იქნება. გერმანია, რა თქმა უნდა, მოიწადინებს ერთა ლიგის საშუალებით ვერსალის რეჟიმის შერბილებას და ლოკარნოში მისთვის მიცემულ დაპირებათა განაღდებას. ამაზე კი საფრანგეთი, ცხადია, არ დასთანხმდება და ვერსალის „ზავის" დასაცავად მას სურს, სხვათა შორის, პოლონეთის ხმითაც გაიმაგროს ზურგი, პოლონეთის, რომელიც თავის მხრივ დაინტერესებულია გერმანიის დასუსტებით.

რაც შეეხება საფრანგეთის დამოკიდებულებას ინგლისისადმი, რამდენადაც საქმე ერთა ლიგას ეხება, მდგომარეობა ამგვარია: ერთა ლიგაში ინგლისი დღემდეც ხელმძღვანელ როლს თამაშობს, ხოლო საფრანგეთს იქ მეორე ადგილი უკავია. ლოკარნოს წყალობით ინგლისმა უფრო განამტკიცა ჰეგემონია დანარჩენ ევროპაზე და საგრძნობლად შეარყია საფრანგეთის პოზიციები. გერმანიის შეყვანით ერთა ლიგაში ინგლისი უფრო გააძლიერებს თავის ბატონობას როგორც ამ ორგანიზაციაში, ისე საფრანგეთზე და მთელ ევროპაზე. ამიტომაცაა, რომ საფრანგეთი, რომელიც ებრძვის ინგლისის გავლენას, ასე თავგამოდებით უჭერს მხარს პოლონეთს და ცდილობს მას მიაკუთვნოს მუდმივი ადგილი ლიგის საბჭოში, რათა ამ გზით შესაძლებელი გახდეს ერთა ლიგაში დღევანდელი ძალთა განწყობილების შენარჩუნება მაინც.

ინგლისის კონსერვატიულ მთავრობა სულ ბოლო დრომდე აშკარად წინააღმდეგი იყო ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთისათვის მუდმივი ალაგის მინიჭების. მაგრამ სულ უკანასკნელ დღეებში ლონდონის მთავრობამ შეიცვალა პოზიცია და ეხლა იგი არ ეწინააღმდეგება პოლონეთ-საფრანგეთის ზევით აღნიშნულ მოთხოვნას. ცხადია, ჩემბერლენ-ბრიანს შორის რაიმე საიდუმლო შეთანხმება მოხდა, საფრანგეთმა რომელიმე სხვა საკითხში დაუთმო ინგლისს. შესაძლებელია, ეს დათმობა შეეხება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხს, რომლის მოსაგვარებლად დღეს შეკრებილია კონფერენცია. კონსერვატიული ინგლისი ყოველ ზომას მიიღებს, რათა ეს კონფერენცია ჩაშლილ იქნეს და ამ მიზნით სრულებით არ არის გასაკვირი, თუ იგი ერთა ლიგის საკითხში ერთგვარ დათმობაზე წავიდა საფრანგეთის მიმართ.

ინგლისს სხვა მოსაზრებაც ამოქმედებს ამ შემთხვევაში. როგორც ვიცით, ინგლის - საფრანგეთ შორის წარმოებს ბრძოლა გავლენისათვის პოლონეთში. ვინ უფრო გამოიყენებს პოლონეთს ერთა ლიგაში—ინგლისი თუ საფრანგეთი—ასე დგას საკითხი. ამ მხრივ საგულისხმოა სკშინსკის (პოლონეთის გარ. საქ. მინისტრი) განცხადება: პოლონეთის პოლიტიკა პარალელურად მიდის ინგლისის მსოფლიო პოლიტიკასთანო. უბრალო ენით ეს ნიშნავს: პოლონეთი მზად არის ინგლისის იმპერიალიზმის იარაღის როლი შეასრულოს. ბალდუინებისათვის სრულებით არ არის სასურველი პოლონეთის მომდურება,—ეს ხელს შეუწყობდა უკანასკნელის დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან, აგრეთვე საფრანგეთის გავლენის გაძლიერებას მასზე. ამიტომ იგი თანხმდება, რათა პოლონეთის წარმომადგენელს მიკუთვნოს მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში.

დღეს მკითხველი გაეცნობა ლიუტერის „გაბედულ" სიტყვას: გერმანია არ შევა ერთა ლიგაში, თუ იგი მტკიცე გარანტიას არ მიიღებს, რომ ერთა ლიგის საბჭო არ იქნება გაფართოვებულიო; ამასთან დასძენს: თუ ჩვენი თვალსაზრისი უარყოფილი იქნება, ამით დაირღვევა გასული წლის უდიდესი პოლიტიკური მიღწევაო. ლიუტერი ლოკარნოზე ლაპარაკობს და იგი მიაჩნია რეალურ მშვიდობიანობისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად. გერმანიას საკმაო გაკვეთილი მიეცა იმედი გაცრუებოდა ამ „უდიდეს პოლიტიკურ მიღწევაზე". ამისათვის საკმარისი იყო თუ გინდ მუსოლინის გამოსვლა. სასაცილოა ლიუტერის მუქარა, რომ გერმანია, როგორც ლიგის წევრი, იმსახურებს რა საერთო საქმეს და ხალხებს, არ დაუშვებს თავის ინტერესების შელახვას რომელიმე სახელმწიფოს მხრითო. ეს ინტერესები უკვე ფეხქვეშ გათელილია, მაგრამ ლიუტერის მთავრობა ამას ურიგდება, კერძოდ მან ხმა ჩაიკმინდა მუსოლინის მიერ მოქნეულ მუშტის წინაშე. გარდა ამისა, არავინ დაიჯერებს, რომ ერთა ლიგა „ხალხებს" ემსახურებოდეს, როგორც ამას ირწმუნება ლიუტერი.

ბოლოს და ბოლოს როგორი მდგომარეობა შეიქნება ერთა ლიგის საბჭოს გაფართოვების საკითხთან დაკავშირებით? არა გვგონია, რომ ლიუტერის მუქარას რაიმე ნიადაგი ჰქონდეს. იგი ალბად შევა ერთა ლიგაში, თუნდაც პოლონეთსაც მიეცეს იქ ისეთივე უფლებები, როგორც მას. შესაძლებელია, რომ, საკითხის გართულების აცილების მიზნით, პოლონეთისა და სხვა ქვეყნებისათვის ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მინიჭების განხილვა გადადებულ იქნეს შემდეგისათვის, ან მათი იქ დროებითი მონაწილეობის ვადა გაგრძელდეს, როგორც ამას ფიქრობს ბალდუინი რაც უდრის ლიგის დღევანდელი სტრუქტურის დარღვევას და პოლონეთისათვის არსებითად მუდმივი ადგილის მინიჭებას.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ გერმანია რჩება იმედ გაცრუებული, ლიგის წევრობას მისთვის ახალი მონობა მოაქვს.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

2 მარტის დილის სხდომა

კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო

მოსკოვი, 3 მარტი. 2 მარტს პლენუმის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო. პირველად ილაპარაკა ამხ. ტომსკიმ.

ამხანაგ ტომსკის სიტყვა

ამსტერდამი მთლიანობის წინააღმდეგია

—ამჟამად, —ლაპარაკობს ამხ. ტომსკი,— საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლა ხანგრძლივ ხასიათს იღებს. ამსტერდამელებს სურთ საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების საკითხის გადაჭრა გააჭიანურონ ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესამდე. ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი ახალი მოლაპარაკება საბჭოთა პროფკავშირებსა და ამსტერდამის ინტერნაციონალს შორის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ინგლისის ტრედიუნიონების ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხებიდან გადატანილ იქნება შინაურ ბრძოლაზე.

ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა ამსტერდამი არავითარ ნაბიჯს არ სდგამს მთლიანობის მისაღწევად, ხოლო პროფინტერნს კი არ შეუძლია მეტ დათმობაზე წასვლა. ჩვენ დავთანხმდით, მოლაპარაკება სწარმოებდეს არა ინტერნაციონალებს შორის, არამედ საბჭოთა პროფკავშირებსა და ამსტერდამს შორის. რასაკვირველია, ამ დათმობაზე ჩვენ წავედით პროფინტერნის თანხმობით, რათა უფრო ჩქარა მიგვეღწია დადებით შედეგებისათვის.

მეტ დათმობაზე ჩვენ ვერ წავალთ

ჩვენ ანგარიში გაუწიეთ ინგლისელ ამხანაგებს მთლიანობის კომიტეტიდან და წავედით მეორე დათმობაზე: შევარბილეთ კილო ამსტერდამის მიმართ. ამაზე მეტი დათმობა ჩვენი მხრით შეუძლებელია. ჩვენ არ შეგვიძლია საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობა წარმოვიდგინოთ, როგორც ამსტერდამისადმი დამორჩილება, არ შეგვიძლია უარი ვსთქვათ საკუთარ ინტერნაციონალზე, სანამ არ შექმნილა ახალი მთლიანი ინტერნაციონალი. ეს გამცემლობა იქნებოდა.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა მასების დასარაზმავად

მთლიანობისათვის ბრძოლის გაჭიანურება და ამ საკითხის გადასაწყვეტის დაგვიანება შეიძლება ამსტერდამის ნაწილობრივ გამარჯვებად ჩაითვალოს, რადგან ყოველგვარი მერყეობა ამ ბრძოლაში ერთგვარ უიმედობას ბადებს მთლიანობის საქმისადმი. აი ამიტომ კომუნისტურ პარტიებს ემართებათ განსაკუთრებული გამბედაობის გამოჩენა, მათ უნდა აწარმოონ მასების სისტემატიური მობილიზაცია მთლიანობისათვის საბრძოლველად.

აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი ამოცანები კომუნისტურ პარტიებისათვის.

კომპარტიის ამოცანები

მთავარი ამოცანა მთლიანობისათვის ბრძოლის ხასიათის საჯაროდ გაშუქება. ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევითვისოთ, რომ ეს ბრძოლა წარმოადგენს არა სააგიტაციო მანევრს, არა „ხაფანგს" რეფორმისტების სამხილებლად მუშათა მასების წინაშე, არამედ ჩვენი გულწრფელი სურვილის გამოხატულებას, რომ ჩვენ გვსურს დავრაზმოთ მუშათა კლასის ყველა ძალები ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. ამ მნიშვნელობით ჩვენი ბრძოლა პროფესიონალური მთლიანობისათვის წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივ მანევრს მის კლასობრივ მტერთან ბრძოლაში.

მიუხედავათ ბრძოლის გაჭიანურებისა, ჩვენ მაინც არ უნდა დავაწვრილმანოთ ჩვენი მთავარი დიადი ამოცანა — საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა—და არ უნდა შევსწიროთ ის წვრილმან ზოგად წარმატებებს. მთლიანობისათვის ბრძოლა— ეს არსებითად მუშათა კლასის ხელმძღვანელობისათვის ბრძოლაა. ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის არა თუ არ არის ხელის აღება რეფორმიზმთან ბრძოლაზე, არამედ ეს არის ამ ბრძოლის პირდაპირი გაგრძელება უფრო მიზანშეწონილი მეთოდებით.

ჩვენი რევოლიუციონური პროფორგანიზაციები კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ

გარდა ამისა, კომუნისტური პარტიების ამოცანაა უკვე არსებულ მსხვილ რევოლიუციონურ პროფორგანიზაციების განმტკიცება - გაძლიერება, შეუკავშირებელ მუშების შემოკრება. მთლიანობისათვის ბრძოლა სრულებითაც არ ნიშნავს ჩვენი რევოლიუციონური პროფორგანიზაციების ლიკვიდაციას, რომელნიც იარსებებენ და უნდა ძლიერდებოდენ, სანამ პროფინტერნი არსებობს. რამდენათაც ჩვენ უფრო ძლიერი ვიქნებით, მით უფრო ადვილათ დავითანხმებთ საერთაშორისო პროფმოძრაობის მტრებს მთლიანობის განხორციელებაზე.

ჩვენმა კომუნისტურმა პარტიებმა მთლიანობის ლოზუნგს გარშემო თავი უნდა მოუყარონ ყველა თავის მომხრეს, ჯერ კომუნისტებს, შემდეგ მემარცხენე სოციალ - დემოკრატიულ ელემენტებს, და აგრეთვე უპარტიო მუშათა მასებს. ჩვენ მუშათა ფართო მასებს უნდა დაუმტკიცოთ მთლიანობის აუცილებლობა და მნიშვნელობა კონკრეტიული მაგალითებით, მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია და უნდა მოუთითოთ იმაზე, რომ ინგლისის ნახშირის მაღაროებში მომხდარი კონფლიქტი ასე მწვავე ფორმებს არ მიიღებდა, რომ ინგლისელ მაღაროების მუშებს გვერდს უმაგრებდეს [illegible], ძლიერი, ერთიანი პროფესიონალური ინტერნაციონალი. ბევრია ასეთი მაგალითები, რომელთა მიხედვით მუშები უფრო ადვილად მიხვდებიან მთლიანობის ნამდვილ აზრსა და მნიშვნელობას.

დამოკიდებულება უპარტიო მუშებთან

შემდეგ ამხ. ტომსკი ეხება უპარტიო მასების და პროფკავშირების დაპყრობის საკითხს და აღნიშნავს, რომ პროფკავშირების დაპყრობისათვის საჭიროა არა უკიდურესი ლოზუნგების წამოსროლა, არა ლამაზი სიტყვები დაუსის გეგმის და ლოკარნოს შესახებ, არამედ ჩვენი პროფკავშირების გადაქცევა კომუნიზმისათვის მებრძოლ ძლიერ ორგანოებად, კომპარტიების აქტიური მონაწილეობა მათ ყოველდღიურ მუშაობაში. პროფკავშირებში სამუშაოდ ჩვენ უნდა შევარჩიოთ საუკეთესო ამხანაგები, როგორც ამას გვასწავლიდა ამხ. ლენინი, რომელთაც თვითეულ შემთხვევაში ესმით მუშების სულისკვეთება, შესწევთ მათი აღზრდის უნარი და მათ შორის ნდობის დამსახურება ამხანაგურ დაახლოვების გზით.

რასაკვირველია, ყოველდღიურ მუშაობაში ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ პროპაგანდა, უნდა ვეცადოთ ყოველდღიური მუშაობის დაკავშირება კლასობრივი ბრძოლის საერთო საკითხებთან. როცა ჩვენ ვისწავლით ასეთ მუშაობას, ადვილათ დავიპყრობთ პროფკავშირებს.

პროფმოძრაობის მთლიანობა აღსდგება ამსტერდამის გარეშეც

ამრიგად,—აცხადებს დასასრულ ტომსკი— ჩვენს უახლოეს ამოცანებს წარმოადგენენ: რაც შეიძლება ნაკლები ლაყბობა. თუ საერკავშირების ყოველდღიურ მუშაობაში, პროფკავშირებში კომფრაქციების შექმნა და რაც შეიძლება ნაკლები ლაყბობა, თუ საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლის ერთ რაიონში დროებით სიწყნარე ჩამოვარდა, ჩვენ უნდა მოვძებნოთ ფრონტის სხვა რაიონები მასების მობილიზაციისათვის.

თუ ამსტერდამს არ უნდა მთლიანობა, ჩვენ მას ან დავითანხმებთ მთლიანობაზე ფართო მასების მოთხოვნით, ან კიდევ, თუ ჩვენ მოვახერხებთ მასების დაპყრობა სწორი თანდათანობითი მუშაობით პროფკავშირებში,— პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობას ამსტერდამის გარეშეც აღვადგენთ.

ხარდის სიტყვა

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ხარდი (ინგლისი).

ხარდი სავსებით სწორად სთვლის კომინტერნის ხაზს პროფმოძრაობის საკითხში საერთოდ და კერძოთ ინგლისის ტრედიუნიონების მიმართ.

ხარდი ეხება საერთო პოლიტიკურ ამოცანებს პროფკავშირთა მუშაობის დარგში და აცხადებს, რომ საჭიროა ჩვენი პარტიის წევრთა მთელი ასი პროცენტით ჩაბმა ტრედიუნიონების მუშაობაში. ამასთანავე ჩვენს მუშაობას — აცხადებს ხარდი — უნდა ექნეს არა მხოლოდ სააგიტაციო, არამედ უფრო პრაქტიკული, კონკრეტიული ხასიათი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენს მოძრაობაში ფართო მასების ჩაბმა.

ჩვენი პროგრამის შემუშავების დროს, — ლაპარაკობს ის,—მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მასების რეალური მოთხოვნილებანი. პროფკავშირების ორგანიზაციულ ჩამოყალიბების დროს ჩვენ უნდა დავიცვათ ინდივიდუალური წევრობა, შემოვიერთოთ უმცირესობის და მთელი ორგანიზაციების ოპოზიციონური მოძრაობა, შევქმნათ უმცირესობის ჯგუფები კომუნისტურ უჯრედების გარშემო წარმოებებში. პროფკავშირთა შეკავშირებული ორგანიზაციის აუცილებლობას გვიკარნახებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ინგლისის ბურჟუაზიაც თავის მხრივ ირაზმება.

ვადადის რა საერთაშორისო პროფესიონალური მთლიანობის საკითხზე, ხარდი სავსებით ეთანხმება ტომსკის იმაში, რომ ამჟამად ასეთი მთლიანობის განხორციელების პერსპექტივები ვერ არის ხელსაყრელი, რეფორმისტების წინააღმდეგობის გამო, მაგრამ ხარდის არც ძალიან უიმედოდ მიაჩნია მდგომარეობა.

— ჩვენმა აგიტაციამ,—ლაპარაკობს ის, ნაწილობრივ თავის მიზანს მიაღწია. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ის და მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მუშათა ორგანიზაციები, რომელნიც შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში, ჩვენ შემოგვიერთდენ ამ საკითხში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მუშაობაში მუშათა დელეგაციების გზავნას საბჭოთა კავშირში. მაგალითად, გენერალურ საბჭოს დელეგაციამ ჩვენს მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა თავისი ცნობილი ანგარიშის გამოქვეყნებით. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ასეთი დელეგაციების გამოგზავნა ტრედიუნიონების ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან.

მიუხედავათ პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგობისა, ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ უმცირესობის მოძრაობის გაძლიერებაში. მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ განსაზღვრული ორგანიზაციული ფორმა ვერ მივეცით მუშების მისწრაფებას მთლიანობისაკენ, მაგრამ ჩვენ შევქმენით საძირკველი, რომელზედაც უნდა მოეწყოს ეს ორგანიზაცია.

შემდეგ ხარდი ეხება ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს უფლებათა გაფართოების საკითხს, საჭიროდ სთვლის საბჭოს მეტ უფლებამოსილობას, აგრეთვე არსებულ წესდების შეცვლას, მეტ ცენტრალიზაციას და დისციპლინას პროფესიონალურ მოძრაობაში.

უახლოეს ამოცანად ხარდი სთვლის უმცირესობის საერთო ნაციონალური კონფერენციის ჩატარებას, რომლის მიზანია თავდაცვის ზომების შემუშავება იმპერიალისტების შემოტევის წინააღმდეგ და აგიტაცია-პროპაგანდის თავისუფლების დასაცავად.

თავისი სიტყვის დასასრულს ხარდი აცხადებს: „კაპიტალისტების იერიშებს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ჩვენი კონტრიერიშები. ამ ბრძოლაში ჩვენ გვესაჭიროება კომინტერნის ყველა მოძმე პარტიების აქტიური დახმარება".

საფინანსო კანონპროექტები

დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 3 მარტი. დეპუტატთა პალატა შეუდგა სენატის მიერ მიღებულ საფინანსო კანონპროექტების განხილვას.

ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცება

ბერლინი, 3 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა ლოკარნოს ხელშეკრულება.

ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ ხმა მისცა 170 წევრმა.

ერთხმად

პარიზი, 3 მარტი. ბრუსელიდან მიღებული ცნობით, სენატმა ერთხმად დაამტკიცა ლოკარნოს ხელშეკრულება.

„არა მშვიდობიანობის, არამედ ომის იარაღი"

პარიზი, 2 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ლოკარნოს შეთანხმებათა კენჭის ყრის დროს სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა კლა-მმიუსმა, რომელმაც განაცხადა რომ კომუნისტები ხმას მისცემენ შეთანხმების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ არა მშვიდობიანობის, არამედ ომის იარაღს.

ელზასის წარმომადგენელმა კომუნისტმა გიუმარმა დაუმატა, რომ ელზასის პროლეტარიატი, რომელსაც წინად ყვლეფდენ გერმანიის კაპიტალისტები, ეხლა კი ყვლეფავენ საფრანგეთის კაპიტალისტები, მოითხოვს მშვიდობიანობას, რომლის მოცემა არ შეუძლია ლოკარნოს.

პალატამ დაამტკიცა ლოკარნოს შეთანხმებანი 413 ხმის უმრავლესობით 71 წინააღმდეგ.

ერთა ლიგის საბჭოს გაფართოვების საკითხი

საფრანგეთი მხარს უჭერს ლიგის საბჭოს გაფართოვებას

ბერლინი, 3 მარტი. ბრიანმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა მხარს უჭერს ერთა ლიგის საბჭოს გაფართოვებას და კმაყოფილი იქნება ლიგის საბჭოში პოლონეთის შესვლით.

ინგლისის პოლიტიკური წრეების აზრი

პარიზი, 3 მარტი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, ინგლისის დიპლომატიურ წრეებში მიზანშეწონილად სთვლიან, რომ საბჭომ დანიშნოს კომისია, რომელიც განიხილავს პოლონეთის და სხვა სახელმწიფოების მიერ შემოტანილ განცხადებებს საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ. კომისიამ თავისი მოხსენება უნდა წარუდგინოს ლიგის სექტემბრის სესიას.

იმავე წრეებში აცხადებენ, რომ მათ არაფერი იციან გერმანიის ნოტის შესახებ, რომელშიაც იგი, თითქოს, აცხადებს, რომ უკან წაიღებს თავის კანდიდატურას, თუ პოლონეთს მიეცემა მუდმივი ადგილი.

ლიუტერის განცხადება

ბერლინი, 3 მარტი. ჰამბურგის ქალაქის თვითმართველობაში წარმოთქმულ სიტყვაში ლიუტერმა მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს მოწოდებით გამოარკვიონ ის გაუგებრობანი, რომელნიც ბურუსში ხვევენ ერთა ლიგის საბჭოს მომავალ შემადგენლობას. ლიუტერის სიტყვით, გარანტია, იმისი, რომ მხოლოდ გერმანია იქნება დაშვებული საბჭოში, გერმანიას უნდა მიეცეს ბერლინიდან დელეგაციის გამგზავრებამდე. **წინააღმდეგ შემთხვევაში, აშკარაა, რომ გერმანია არ შევა ლიგაში.**

„დაუჯერებელია, განაცხადა ლიუტერმა, რომ ჩვენი თვალსაზრისის უარყოფით გაქარწყლებული იქნეს წარსული წლის უდიდესი პოლიტიკური მიღწევები. ამ თვალსაზრისზე სდგას არა მარტო გერმანია".

გერმანიის პოლიტიკური კურსის შესახებ პასიური წინააღმდეგობის პერიოდის შემდეგ ლიუტერმა სთქვა:

„ლოკარნო—ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია რეალური მშვიდობიანობის მსოფლიო პოლიტიკისაკენ ლოკარნო სავსებით დამოკიდებულია ერთა ლიგაში გერმანიის შესვლისაგან. გერმანიას, როგორც ერთა ლიგის წევრს, სურს ემსახუროს საერთო საქმეს, მაგრამ ამავე დროს ის არ დაუშვებს თავისი ინტერესების შელახვას სხვა სახელმწიფოს მხრივ. საუბედუროთ გერმანიის შუამდგომლობის შემდეგ ერთა ლიგაში მიღების შესახებ ადგილი ჰქონდა ისეთ გარემოებას, რომელიც საფრთხეს უმზადებს ყველაფერს, რაც გაკეთებულია ლოკარნოს გაერთიანებული ძალებით. არავითარი ცვლილებები ერთა ლიგაში! წინააღმდეგ შემთხვევაში ლიგის საბჭო გერმანიას ჩააყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებით უარი ვსთქვათ ერთა ლიგაში შესვლაზე".

ლიუტერის სიტყვის გამოძახილი

ბერლინი, 3 მარტი. „ტაიმს" და „დეილი ნიუზ" ეხებიან ლიუტერის სიტყვას, რომელიც განმარტავს გერმანიის თვალსაზრისს ერთა ლიგის 8 მარტს მოწვევის შესახებ და აცხადებენ, რომ გერმანიის კანცლერის სიტყვა შესაძლებლად ხდის შეთანხმებას. „ტაიმს" დასძენს, რომ ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთის მიღებაზე ამჟამად ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან გერმანიის ყველა პარტიები გაერთიანებული არიან ოპოზიციაში ლიგის საბჭოში პოლონეთის შესვლის წინააღმდეგ.

იწონებენ

პარიზი, 3 მარტი. მთავრობის და ბერლინის ლიბერალური პრესა იწონებს ლიუტერის სიტყვას ერთა ლიგის საკითხის შესახებ.

ბეტლენი გაემგზავრა

პარიზი, 3 მარტი. გრაფი ბეტლენი ჟენევაში გაემგზავრა.

ნაციონალურ კრების სხდომა გადაიდო 16 მარტამდე.

შეთანხმების იმედი აქვთ.

ლონდონი, 2 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჟენევაში მიღწეული იქნება შეთანხმება ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის გაფართოების საკითხში. ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის საბჭოში გერმანიის შესვლის შემდეგ, უკანასკნელი დათანხმდება იმაზე, რომ დაინიშნოს კომისია, რომელიც განიხილავს სხვა სახელმწიფოების პრეტენზიებს ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიღების შესახებ.

საბჭოთა პრესა

სოფლის პროდუქციის გაუმჯობესებისათვის

გლეხობა ჩივის ჩვენი მრეწველობის პროდუქციის დაბალ ღირსების გამო. ეს ჩივილი სამართლიანია და სათანადო ორგანოები კიდეც ღებულობენ ყოველგვარ ზომას ქალაქის საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ამავე დროს არა ნაკლებ მდარე თვისების ნაწარმოებს უშვებს ბაზარზე სოფელი. და როცა გლეხობა მაღალ მოთხოვნებს უყენებს ქალაქის პროდუქციას, იგი თავის მხრივ უნდა შეეცადოს, რომ მისი ნამუშევარიც აკმაყოფილებდეს ასეთ მოთხოვნებს. ჩვენ კი ვიცით, რომ ეს ასე არ არის. **„ბედნოტა"** გადმოგვცემს:

„მარტო ჩრდილო - დასავლეთის ოლქში საკონტროლო კომიტეტმა არ გაუშვა უკანასკნელ სეზონში 300 ვაგონი კვერცხი 1.322-დან; დაიწუნა 72 ვაგონი ზეთი 1.600-დან, ხოლო სექტემბერსა და ნოემბერში გამოუსადეგრად სცნო უცხოეთში გასაგზავნად 276 ვაგონი 668-დან.

და ეს ადგილებზე წინასწარ გადარჩევის შემდეგ.

ხოლო ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენთვის როგორც უმთავრესად სასოფლო - სამეურნეო ქვეყნისათვის, სოფლის პროდუქციის საზღვარ - გარედ გატანა უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს.

მაგრამ არა მარტო საზღვარ - გარეთი არამედ ჩვენი ქარხნებიც აღნიშნავენ სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის ცუდთვისებას. ტყავეულობის ქარხნები, იძენენ რა გლეხებისაგან გაფუჭებულ ტყავს, ვერ ამზადებენ კარგ საქონელს. სელის და კანაფის უხეირო პირველადი დამუშავება გლეხების მიერ აძვირებს ფაბრიკებში მათგან ძაფის დამზადებას. გლეხის ჭარხალი ცოტა შაქარს იძლევა. გლეხის გამზდარი ღორი არ იძლევა კარგ საზღვარ - გარეთელ საქონელს (ბეკონს). გლეხური კარაქი, მშვენიერი თავისი ბუნებრივი თვისებებით, ფუჭდება უხეირო დამზადებისა და შენახვისაგან. ჩვენი ქათმის კვერცხი ძალიან წვრილია. ჩვენი ფრინველი ცუდათ იკვებება".

ყველაფერი ეს უდავოა. და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა განუზომელ ზარალს აყენებს ქვეყანას სოფლის პროდუქციის მდარე თვისება. ამით ბრკოლდება ჩვენი ექსპორტის საქმე. ჩვენ ვიცით, თუ როგორ მკაცრად ეკიდებიან უცხოეთის ბაზარზე საბჭოთა საქონელს, ცდილობენ მას სახელი გაუტეხონ, მისი კონკურენციის აცილების, ან იაფად შეძენის მიზნით. ექსპორტის განვითარებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ბედისათვის. ამავე დროს სოფლის ცუდი ნედლეული ერთი მთავარი მიზეზთაგანია საფაბრიკო-საქარხნო საქონლის დაბალი თვისების, რისგან ზარალობს როგორც მრეწველობა, ისე უფრო თვით გლეხობა.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის ნაწარმოების გაუმჯობესებას. ამ მიზნით ბოლო დროს შემოღებულია ე. წ. ბონიფიკაციის სისტემა, ე. ი. ისეთი წესი, როცა უკეთესი პროდუქტისათვის მეტ ფასს აძლევენ გლეხს. ეს წესი შექმნის ინტერესს ნაწარმოების გაუმჯობესებისადმი. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია, ამ მხრივ გლეხობაში ცოდნის და შეგნების შეტანა.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

კრესტინსკი ლეიპციგის ბაზრობაზე

ბერლინი, 2 მარტი. საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბერლინში კრესტინსკიმ ინახულა ლეიპციგის ბაზრობა, სადაც მას შეხვდა საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარე კელლერი. ლეიპციგის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე შმიდტი მიესალმა საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს და გამოსთქვა იმედი, რომ მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა.

კრესტინსკიმ ბაზრობაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში გერმანიის მრეწველობა განმტკიცდა, მაგრამ მის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალი ბაზრების შეძენა; ამ მხრივ, საბჭოთა კავშირს შეუძლია დახმარება გაუწიოს მას. საბჭოთა მთავრობა არის ყველაზე უკეთესი მყიდველი მსოფლიოში. თუ კრედიტის საკითხი გერმანიის მთავრობის დახმარებით. სასურველად იქნება გადაწყვეტილი, გერმანიის მანქანების საამშენებლო მრეწველობისათვის უზრუნველყოფილი იქნება ბაზარი ათეული წლის განმავლობაში.

კრესტინსკის განცხადებას მქუხარე ტაშით შეხვდენ ყველა დამსწრენი.

ბალდვინ-ჩემბერლენს მომხრეები ეცლება

ლონდონი, 2 მარტი. პრესა ეხება თემთა პალატაში გამართულ კამათს საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის საკითხზე და აღნიშნავს, რომ ეს „კამათი წარმოადგენდა კონსერვატორების ბუნტს მთავრობის წინააღმდეგ".

„ტაიმსი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის მიცემის წინააღმდეგ გაილაშქრა კონსერვატორების მხოლოდ მცირე ჯგუფმა. საყურადღებოა, რომ მთავრობის უმრავლესობა ამ საკითხში, რომელსაც გუშინ ჰქონდა 160 ხმა, დღეს შემცირდა 88-დე.

შვეიცარიის ახალი ცდა

ბერლინი, 2 მარტი. „ფოსიშე ცეიტუნგის" ცნობით ჟენევიდან, შვეიცარიის პოლიტიკურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ახლო მომავალში განახლდება შვეიცარია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება. შეეცდებიან უშუალო მოლაპარაკება აწარმოონ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან, შესაძლოა, ბერლინში.

უკმაყოფილო არიან მთავრობის პოლიტიკით

ვენა, 2 მარტი. გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის საექსპორტო კრედიტის მიცემის გამო, „არბეიტერ ცეიტუნგი" უსაყვედურებს ავსტრიის მთავრობას უმოქმედობას საბჭოთა კავშირის ექსპორტის საკითხში და მოითხოვს საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებას ავსტრიის ექსპორტის წასაქეზებლად საბჭოთა კავშირში.

ჩინეთის ამბები

მდგომარეობის გართულება შანხაიში.

პეკინი, 2 მარტი. მდგომარეობა შანხაიში ისევ სერიოზული ხდება ახალი გაფიცვების გამო, რომელიც დაიწყო იაპონიის ბამბის საქსოვ ფაბრიკებში. მოლაპარაკების დროს იაპონელ ზედამხედველმა შეურაცხყოფა მიაყენა ერთ მუშა ქალს. აღშფოთებულმა მუშებმა სცემეს ზედამხედველს, რომელიც მალე გარდაიცვალა. ადმინისტრაციამ გამოიწვია ინგლისის პოლიცია, რომელმაც გარეკა მუშები და დაატუსაღა 100 კაცი.

ამის შემდეგ მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა. **გაფიცულია 4.000 კაცი.**

გაფიცვა შესაძლებელია გავრცელდეს უცხოელების სხვა ფაბრიკებზე.

გაფიცულები მოითხოვენ უკეთესი მოპყრობის გარანტიას და დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. ფაბრიკას იცავს ჩინეთის და უცხოეთის პოლიცია.

ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ უცხოეთის კაპიტალისტები განზრახ იწვევენ მუშების მღელვარებას.

კანტონის მთავრობის მოთხოვნილება.

პეკინი, 2 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, კანტონის მთავრობამ პეკინის მთავრობისაგან მოითხოვა გადაეყენებინა საბაჟოს რწმუნებული, რომელიც პასუხისმგებელია კანტონის საბაჟოს დახურვისათვის.

ბრძოლა დაიწყო

პარიზი, 3 მარტი. პეკინიდან მიღებული ცნობით, გენერალი ჩჟან-ცზოლინისა და უ-პეი-ფუს არმიებმა გენერალ ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა დაიწყეს.

იტალიაში

მუსოლინი აზვიადებს გერმანიის საფრთხეს

პარიზი, 2 მარტი. „ენფორმასიონი" გამოსთქვამს შიშს, რომ იტალია მისწრაფის რა სამხრეთ-სლავიასთან დაახლოვებისაკენ, ცდილობს, არამც თუ გადაიტანოს მისი ყურადღება ადრიატიკიდან ეგეის ზღვაზე, არამედ გამოჰგლიჯოს აგრეთვე საფრანგეთის გავლენისაგან მცირე ანტანტა. ამ მიზნით მუსოლინი აზვიადებს გერმანიის საფრთხეს და გამოდის გერმანოფობის როლში.

იტალიის საჰაერო ძალები

რომი, 2 მარტი. ავიაციის სამინისტროს წარმომადგენელმა გენერალმა ბონცანმა გაზეთ „ტრიბუნაში" მამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ იტალიის ავიაციის შესახებ.

ბონცანის სიტყვით, ახლო მომავალში მზად იქნება ახალი საჰაერო განმანადგურებელნი. შენდება თანამედროვე ტიპის ჰიდრო პლანები და ყველა სახის განმანადგურებლები.

სამხრეთ სლავია და იტალია

ავსტრიის გერმანიასთან შეერთების წინააღმდეგ

ავსტრია დახმარებას ეძებს

ბერლინი, 3 მარტი. ბენეში, რომელიც ჟენევაში მიემგზავრება, გზაში შეჩერდება ვენაში.

ვენის პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ ჩეხიელები მხარს დაუჭერენ ავსტრიას იტალიის წინააღმდეგ.

ნინჩიჩი ხელს შეუშლის

ბერლინი, 3 მარტი. ნინჩიჩი, რომელიც დღეს პარიზში ჩავიდა, განზრახული აქვს ხელი შეუშალოს ავსტრიის და გერმანიის გაერთიანებას, რადგან შიშობს, რომ გერმანიამ არ მოითხოვოს მისთვის ნავთსადგურის დათმობა ადრიატიკის ზღვაზე.

პარიზი, 2 მარტი. საფრანგეთის თათბირი ექნება ბრიანთან ლოკარნოს ხელშეკრულებათა, ყალბი ბანკნოტების საქმის, ავსტრიაში გერმანიასთან შეერთების სასარგებლოდ დაწყებული მოძრაობის და სამხრეთ-სლავიისა და საფრანგეთს შორის მეგობრობის განმტკიცების შესახებ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

გერმანია

ოპოზიცია იმარჯვებს

ბერლინი, 2 მარტი. მეჩექმეთა კავშირის საერთო კრებამ ბერლინში გამგეობის წევრებად აირჩია 6 კომუნისტი. გალეში სასოფლო - სამეურნეო მუშების გამგეობაში არჩეულია 2 კომუნისტი და 1 უპარტიო. პენგეში საამშენებლო დარგის მუშათა გამგეობაში ახალი არჩევნების შემდეგ შედის 6 კომუნისტი და 2 უპარტიო.

მწარმოებლების შეტევა

ბერლინი, 2 მარტი. საფეიქრო წარმოებების პატრონებმა ტიურინგიაში შინა-მრეწველთა შრომის ხელფასი 40 პროცენტით შეამცირეს. შტუტგარტში ბლეილის საქსოვმა ფაბრიკამ მუშა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასი შეამცირა 50 პროცენტით. მაგდებურგში ლითონის ქარხნების მესაკუთრეები 6 მარტისათვის ფიქრობენ კოლექტიურ ხელშეკრულების გადასინჯვას სამუშაო ხელფასის შემცირების მიზნით. შანცის დასამზადებელ ქარხანაში მოსამსახურეებს ჯამაგირი 20 პროცენტით შეუმცირეს.

საფრანგეთი

სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ

პარიზი, 2 მარტი. სამუშაო დღის 9 საათამდე გადიდების წინააღმდეგ პროტესტის მიზნით, საამშენებლო დარგის მუშათა უნიტარულ-ავტონომიურ (ანარქო-სინდიკალისტური) და რეფორმისტულ პროფკავშირებმა მოუწოდეს მუშებს შესწყვიტონ მუშაობა და შეიკრიბონ მიტინგზე მოთხოვნილებების გამოსამუშავებლად. ამის შემდეგ პარიზის საამშენებლო დარგის მუშათა 90 პროცენტმა შესწყვიტა მუშაობა. მიტინგების შემდეგ მუშები გაემართნენ მეწარმეებთა კომიტეტის ბინისაკენ. პოლიცია ცდილობდა დემონსტრაციის დაშლას. **შეტაკების დროს დაიჭრა 100 მუშა და 40 პოლიციელი. დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი.**

ჯავშნიანი მატარებლები მუშების წინააღმდეგ

ბერლინი, 2 მარტი. ამ დღეებში „ფორვერტსმა" გამოაცხადა, რომ გერმანიის რკინისგზათა სამმართველო შეუდგა ჯავშნიან მატარებლების აშენებას. გაზეთის სიტყვით ის ზომები მიმართულია რკინისგზელთა გაფიცვების წინააღმდეგ.

ამის გამო შტრეზემანის ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ" სწერს:

„ფორვერტსის" ცნობა ამახინჯებს საქმის ნამდვილ მდგომარეობას. სპეციალური მატარებლების აგება არის გასაფრთხილებელი ზომა, იმ შემთხვევისათვის, თუ სახელმწიფოში ადგილი ექნება დიდ მღელვარებას.

აფხაზეთის განთავისუფლების 5 წ. თავი

მისალმებები

ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ჩანბას

ხუთი წლის წინედ აფხაზეთის მუშებმა და გლეხებმა დაამხვეს ევროპის იმპერიალიზმის დამქაშების ხელისუფლება, ძველი წესწყობილების ნანგრევებზე საბჭოთა დროშა ააფრიალეს და შევიდენ საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ოჯახში. აფხაზეთის ხალხის მისწრაფება თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობისაკენ განხორციელდა მხოლოდ მშრომელთა ხელისუფლების დამყარების დროს, რომელმაც ყველა ჩაგრულ ხალხებს კულტურული და მატერიალური მშენებლობის ფართო პერსპექტივები გადაუშალა.

4 მარტი სამუდამოდ შევა აფხაზეთის ხალხის ისტორიაში, როგორც პროლეტარული და სოციალური განთავისუფლების დღე. პატარა, მაგრამ ფართო შესაძლებლობის მქონე და ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყნის მშრომელები, რომლებმაც თავისი ნებაყოფლობით დაარსეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ამიერიდან მშვიდობიანი შრომით, ნაციონალური კულტურის განვითარებით ჰპოვებენ უტყუარ გზას, რომელსაც მივყევართ სოციალიზმის ნამდვილ სამეფოსა და ყველა ხალხთა ძმობისაკენ.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი განსაკუთრებული კმაყოფილებით ესალმება წითელი აფხაზეთის მუშებს და გლეხებს, უსურვებს მათ გაფურჩქვნას და მშვიდობიან შრომას. ამიერ-კავკასიის დანარჩენ მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, საბჭოთა რესპუბლიკების მთელს კავშირთან ხელი-ხელ ჩაკიდებით, აფხაზეთის მშრომელები დაამტკიცებენ, თუ როგორი გამარჯვებების მიღწევა შეუძლიათ განთავისუფლებულ მუშებს და გლეხებს, რომლებმაც მთელი ძალა-უფლება თავის ხელში აიღეს.

გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ერთობას!

გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე **ხანოიანი.**

ა.-კ. ცაკის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის თავის შესრულების გამო, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლაკობას სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ვესალმები საბჭოთა აფხაზეთს იმპერიალიზმის დამქაშების ხელისუფლების დამხობის ხუთი წლის თავზე.

აღვნიშნავ რა მუშათა და გლეხთა მასების გმირულ ღონისძიებებს და რესპუბლიკის მიღწევებს განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, იმედი მაქვს, რომ აფხაზეთის თავისუფალი ხალხი განახლებული და გაძლიერებული ენერგიით საქართველოს, ამიერ-კავკასიის და მთელი კავშირის მშრომელებთან ერთად მომავალშიაც არა ერთხელ დაგვანახვებს თავის უნარს კულტურის, განათლების და სოციალისტური მშენებლობის წინმსვლელობის საქმეში.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **ორახელაშვილი.**

საქართველოს ცაკისაგან

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავის შესრულების გამო **ამხ. ფ. მახარაძემ** შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სოხუმში აფხაზეთის ცაკს და სახ. კომ. საბჭოს:

1921 წ. 4 მარტი არის უდიდესი ისტორიული თარიღი მთელი აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრებაში. ამ დღეს აფხაზეთის მშრომელები საბოლოოდ განთავისუფლდენ ქართველ მენშევიკების, რუსეთის თეთრგვარდიელების და უცხოეთის მტაცებელთა ტირანიისა და ჩაგვრისაგან. პატარა აფხაზეთი ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისიდან იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და ერთ დროს მან კიდეც მოახერხა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ მენშევიკურმა ბანდებმა ჯუღელის მეთაურობით სასტიკად დასაჯეს ამისათვის აფხაზეთის მუშები და გლეხები. ამის შემდეგ 3 წლის განმავლობაში მენშევიკები სჩაგრავდენ აფხაზეთის მშრომელი მასები საბოლოოდ აყენებდენ და ძალადობას ახდენდენ მათზე. ცნობილია, რომ აფხაზეთის მუშები და გლეხები, მიუხედავად დევნისა, არ ურიგდებოდენ მენშევიკების ბატონობას და განაგრძობდენ მის წინააღმდეგ ბრძოლას. ბრძოლა დასრულდა 5 წლის წინად, როდესაც, როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის მრომელი მასები, საბოლოოდ განთავისუფლდენ ბურჟუაზიის და მის მსახურთა ბატონობისაგან.

გულწრფელად ვულოცავ აფხაზეთის მშრომელთა მასებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავს, მხურვალე სალამს უძღვნი მათ და ვუსურვებ სრულ წარმატებას წინედ ჩაგრულ ქვეყნის სოციალისტურ საფუძვლებზე აღორძინების საქმეში.

გაუმარჯოს მშრომელ აფხაზეთს!

გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთს!

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სახ. კომისართა საბჭოსაგან

სოხუმი

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭო, **ლაკობას.**

საქართველოს მუშათა და გლეხთა სახელით ვუგზავნით მხურვალე ძმურ სალამს აფხაზეთის მშრომელთ მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტების ძალადობისაგან განთავისუფლების ხუთი წლის თავზე.

უკვე ადგილი აღარა აქვს ურთიერთ უნდობლობას ქართველებს და აფხაზებს შორის, უნდობლობას, რომელსაც ასე გულმოდგინეთ სთესდენ აფხაზეთის ხალხის მოძალადენი ამ ხუთი წლის წინათ.

ამხანაგებისა და ძმებისაგან შემდგარი, მტკიცედ დარაზმული რიგებით წავიდეთ წინ ახალი ცხოვრების შემოქმედების გზაზე. ამ გზით ჩვენ გადავლახავთ ყველა იმ დაბრკოლებებს, რომელსაც ვხვდებით ჩვენი მუშაობის დროს; დავამყარებთ იმ საღს საზოგადოებრივ წყობილებას, რომელზედაც ოცნებობდენ და ოცნებობენ ყველა ერების მშრომელნი.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა აფხაზეთს!

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ელიავა.

ხუთი წელი

ხუთი წლის წინად აფხაზეთის მშრომელმა ხალხმა სამუდამოდ მოსპო „დემოკრატიული საქართველოს" რეჟიმი, რომელიც აფხაზეთისათვის ნამდვილად იყო საქართველოს პირწავარდნილი მეშჩანური სოციალ-დემოკრატიის დიქტატურა.

ეს რეჟიმი საქართველოს და აფხაზეთის მშრომელ ძმებს შორის სთესდა შუღლსა და მტრობას, და აფხაზეთის დიდგვაროვან პირთა დახმარებით აფხაზთა უეხობას უმორჩილებდა ქართველ გაბატონებულ წრეებს.

„დემოკრატიული საქართველოს" ერთი მუჭა გაბატონებულ დამქაშთა საკეთილდღეოთ წარმოებული პოლიტიკა სპობდა ყოველგვარ შესაძლებლობას აფხაზეთის მასების შემოქმედებისათვის, აფხაზეთის მშრომელთა კულტურული ამაღლებისათვის. ამჟამად გზა გაწმენდილია, ჩაყრილია მტკიცე საფუძველი აფხაზეთის აღორძინებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება შეურყეველია აფხაზეთში, საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირში — მაშასადამე იდღეგრძელებს და გაიხარებს მშრომელთა აფხაზეთი.

გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთს!

გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთის მჭიდრო განუყრელ კავშირს საბჭოთა საქართველოსთან.

შ. ელიავა.

აღმოსავლეთი

ნუბია

ნუბიელთა აჯანყება

ლონდონი, 2 მარტი. ხარტუმიდან (სირია) იძლევიან დაწვრილებითი ცნობებს ნუბიის ტომების აჯანყების შესახებ. აჯანყება მეტად ფართე ხასიათს ღებულობს. აჯანყებულთა რიცხვი აღწევდა 2000 კაცამდე, რომელნიც შეიარაღებული იყვნენ თოფებით. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია.

ლჟირი

პრესის „თავისუფლება"

პარიზი, 1 მარტი. საფრანგეთის ხელისუფლებამ ტუნისში გამოაქვეყნა მთელი რიგი დეკრეტები, რომელნიც ზღუდავენ პრესის თავისუფლებას საფრანგეთის ამ ახალშენში.

კანონის თანახმად, ჟურნალისტები, რომელნიც აკრიტიკებენ ტუნისის ბეის, მისი კარის კაცების და საფრანგეთის რეზიდენციის მოქმედებას, სასტიკად დასჯილ უნდა იქნენ. დაწესებულია აგრეთვე განსაკუთრებული ჯარიმა იმ გაზეთებისათვის, რომელთა რედაქტორებს მისჯილი აქვთ ციხეში ჯდომა.

ეხება რა ამ რეაქციონურ კანონს, გაზეთი „პეპლი" აღნიშნავს, რომ ის „ეწინააღმდეგება საფრანგეთის კანონმდებლობის ძირითად დებულებებს".

ეგვიპტე

კომუნისტების დაპატიმრება

ლონდონი, 1 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით. პოლიციამ დააპატიმრა რამოდენიმე უცხოელი კომუნისტი, რომელთაც ასახლებენ ეგვიპტიდან.

მაროკოში

რიფები ემზადებიან

პარიზი, 2 მარტი. როგორც საბატიდან იუწყებიან, რიფებს განზრახული აქვთ აიღონ თავის ხელში ოპერაციების ინიციატივა იმ სექტორში, რომელიც ემუქრება მათი წინააღმდეგობის ცენტრს.

ფრონტზე

ბერლინი, 3 მარტი. ტანჟერიდან მიღებული ცნობით, ესპანელებმა დაიწყეს გააფრთებული იერიშები ბენიგისასიის მახლობლად.

ტეტუანში ჩამოიყვანეს მრავალი დაჭრილი ესპანელები.

ოსმალეთში

სისხლის სამართლის კოდექსი

რომი, 3 მარტი. ანგორიდან მიღებული ცნობით, ეროვნულმა კრებამ მიიღო ოსმალეთის სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომელიც წააგავს იტალიის კანონთა კოდექსს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პროლეტ. მწერალთა კონფერენცია

მოსკოვი, 3 მარტი. მოსკოვში შესდგა სრულიად რუსეთის პროლეტ. მწერალთა ასოციაციის საგანგებო კონფერენცია. კონფერენციაზე გაგრძელდა ამხ. ვარდინისა, როდოვისა და ლელევიჩის მიერ დაწყებული კამათი პროლეტ. მწერლობის შესახებ. კონფერენციამ ნათელჰყო მათ პოლიტიკურ და ლიტერატურულ შეცდომების შორის არსებული კავშირი, რაც გამოიხატება პროლეტარულ ძალების ურწმუნოებაში და ბურჟუაზიულ მწერლობის გაზვიადებაში. კონფერენციამ საჭიროდ სცნო, რომ დაარსდეს ფედერაცია საბჭოთა მწერლების ყველა ორგანიზაციებისა.

ახალ გამგეობაში აირჩიეს ამხ. დემიან ბედნი, ავერბახი ვარდინი (საქართველოდან), რასკოლნიკოვი, ლიბედინსკი და სხვანი.

კანონი შვილად აყვანის წესის შესახებ

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც ეხება შვილად აყვანის წესს. შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ მცირეწლოვანთა და აგრეთვე არასრულ წლოვანთა მხოლოდ და მხოლოდ ბავშვთა ინტერესების დასაცავად. შვილად აყვანა სწარმოებს მზრუნველობის ორგანოების დადგენილებით და უნდა გატარდეს რეგისტრაციაში საერთო წესით.

დაქორწინებულ პირის მიერ ვინმეს შვილად აყვანა უნდა მოხდეს ორივე ცოლ-ქმარის თანხმობით. იმ ბავშვთა შვილად აყვანისათვის, რომელთაც 10 წელი შეუსრულდა, საჭიროა თვითონ ბავშვის თანხმობა.

ქარ-ბუქი ლენინგრადის რაიონში

ლენინგრადი, 3 მარტი. 1 მარტს ლენინგრადის რაიონში დაიწყო ძლიერი ქარ-ბუქი. რკინისგზებზე მატარებლების მიმოსვლა გაძნელებულია. ზოგიერთი სამარაგო მატარებლების მიმოსვლა არ შეფერხებულა.

ამინდი

ლენინგრადი, 3 მარტი. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობებით, მარტის ოცამდის ყინვიანი ამინდი იქნება საბჭოთა კავშირის ევროპიულ უდიდეს ნაწილში.

ხერსონ-კრემენჩუგ-კალუგას აღმოსავლეთით 11 მარტისათვის მოსალოდნელია უფრო სუსხიანი ყინვები. გაზაფხული დაიწყება 20 მარტიდან და გაგრძელდება თანდათანობით დიდხანს.

რადიო-მშენებლობა

მოსკოვი, 3 მარტი. სააქციონერო საზოგადოება „რადიოპერედაჩა"-ს მიენდო, გამოიმუშაოს მთელ საბჭოთა კავშირისათვის რადიო-სადგურების ქსელის ერთი მთლიანი გეგმა. აგრეთვე მიენდო, შეიმუშაოს შესაფერი ხარჯთაღრიცხვა.

კლუბის მუშაკთა მომზადება

მოსკოვი, 3 მარტი. ცეკას საკლუბო კომისიამ დაადგინა, შუა მარტისათვის მოაწყოს ცენტრალური კურსები კლუბის მუშაკთა მოსამზადებელ ხელმძღვანელობისა.

კურსების მსმენელებათ უნდა იყვნენ კლუბის კვალიფიციური მუშაკები პროფკავშირების ინსტრუქტორებიდან.

ამხ. ტომსკის გამგზავრება

მოსკოვი, 3 მარტი. 2 მარტს პარიზში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრი ტომსკი.

კომკავშირის ცეკას მორიგი პლენუმი

მოსკოვი, 3 მარტი. რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის ცეკას მორიგი სესია დანიშნულია 9 მარტისათვის.

მოსკოვ—პეკინის საჰაერო ხაზი

მოსკოვი, 3 მარტი. გაზაფხულზე დაიწყებს მოქმედებას მოსკოვ—პეკინის საფოსტო საჰაერო ხაზი.

საბიუჯეტო და საგეგმო წლის დასაწყისის გადატანა 1 იანვრისათვის

მოსკოვი, 3 მარტი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა ხმის უმრავლესობით მიიღო საუწყებათაშორისო თათბირის წინადადება საბიუჯეტო და საგეგმო წლის დასაწყისის 1 იანვრისათვის გადატანის შესახებ.

უკრაინა

პარტიული აპარატის უკრაინიზაცია

ხარკოვი, 3 მარტი. უკრაინის კომპარტიის ცეკა აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს პარტიული აპარატის უკრაინიზაციის სფეროში. უკრაინელ პასუხისმგებელ ამხანაგთა შემადგენლობა პარტიის ცენტრალურ აპარატში ხუთჯერ გაიზარდა. პარტიის საოლქო კომიტეტებში უკრაინელთა რიცხვი ახალი არჩევნების შემდეგ 45 პროცენტით გაიზარდა. რაიონულ პარტიულ კომიტეტების მდივნების 50 პროცენტს უკრაინელები შეადგენენ.

პარტიული აპარატის მუშაობა თითქმის ყველა ოლქებში უკრაინულ ენაზე სწარმოებს. უკრაინიზაცია ყველაზე უფრო სუსტად ტარდება სამრეწველო ოლქებში. უკრაინის კომპარტიის ცეკას დადგენილებით, მომავალში მუშაობა პარტიული აპარატის უკრაინიზაციისათვის კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. შედგენილი იქნება იმ უკრაინელი პარტიული ამხანაგების სია, რომელთა წამოყენება შეიძლება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ამხ. ზონნენბერგის დაღუპვა

სამარა, 3 მარტი. 7 თებერვალს სამარის სამხედრო-რევოლუციონურ ტრიბუნალის თავმჯდომარე ზონნენბერგი თავისი ორი თანამშრომელით გაემგზავრა სანადიროთ სამარას მიდამოებში. საღამოს ზონნენბერგის თანამოსამსახურეები დაბრუნდენ და განაცხადეს, რომ ზონნენბერგი უგზოუკვლოთ დაიკარგა. გაგზავნილ იქნა ექსპედიცია 50 კაცის შემადგენლობით ზონნენბერგის [illegible]. მხოლოდ 2 დღის ძებნის შემდეგ ექსპედიცია უკანვე დაბრუნდა. 1 მარტს ვოლგას ნაპირას სამარიდან 10 ვერსის დაშორებით ნაპოვნი იქნა ზონნენბერგის გვამი. გამოირკვა, რომ ზონნენბერგი გაყინულა.

ქალების განთავისუფლება მუშაობისაგან 8 მარტს

მოსკოვი, 3 მარტი. იმის გამო, რომ 8 მარტს ქალები განთავისუფლებულ უნდა იქნენ მუშაობისაგან 2 საათის განმავლობაში, საკავშირო შრომის კომისარიატი აცხადებს, იმ წარმოებების ან დაწესებულებების მუშაობა, სადაც ქალები შეადგენენ უმრავლესობას, მუშაობა შეჩერებულ უნდა იქნეს ჩვეულებრივზე 2 საათით ადრე. ისეთ დაწესებულებებში, სადაც მუშაობის შეჩერება შეუძლებელია (ტელეგრაფი, ტელეფონი, საავადმყოფოები, ტრანსპორტი), ქალები მუშაობისაგან არ თავისუფლდებიან, არამედ იღებენ განსაკუთრებულ გასამრჯელოს. განთავისუფლებულ საათების გასამრჯელო არავის არ გამოერიცხება.

თურქოლოგიური ყრილობა

ბაქო, 3 მარტი. თურქულ ტერმინოლოგიისა და სინტაქსის მეცნიერულათ და თანამედროვეთ დამუშავებაზე მოხსენებას კითხულობს ზეინალოვი. რომ მოგვარებულ იყვეს ყოველი წვრილმანი და პრაქტიკულ ტერმინოლოგიის საკითხები, ამისთვის ზეინალოვი წინადადებას იძლევა, დაარსდეს სამეცნიერო ცენტრი.

მისალმება აზერბეიჯანის პროფკავშირების მეხუთე ყრილობიდან

2 მარტის საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმა აზ. პროფკავშირების მეხუთე ყრილობის დელეგაცია და უსურვა ისეთი ალფაბეტის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს ფართო მასებს შეიძინონ სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე.

ყრილობას მილოცვა მოუვიდა აგრეთვე ჰუნგრეთის მეცნიერ ნეიმანისაგან და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

პროფ. იაკოვლევის მოხსენება

ალფაბეტის რეფორმის შესახებ დაწვრილებით და საფუძვლიან მოხსენებას აკეთებს პროფ. იაკოვლევი. ის აღნიშნავს არაბულ ალფაბეტის დრომოჭმულობასა და უმაგალითო სიძნელეს, რომელსაც თითქმის აღარ მოეპოვება დამცველი. სამაგიეროთ იცავს ლათინურ ალფაბეტის შემოღებას და ყოველმხრივ ახასიათებს მის უპირატესობას.

ზიფელდტის მოხსენება

ტერმინოლოგიის პრინციპების შესახებ მოხსენებით გამოდის ზიფელდტი.

მომხსენებელი ამტკიცებს, რომ ყოველი ენა თავისი ხასიათით და ლექსიკონის შემადგენლობით სავსებით ეთანხმება ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ ყოფას.

ენების ევოლიუცია უმთავრესად მიმდინარეობდა სტიქიურად. მაგრამ საბჭოთა პირობებში აუცილებელი ხდება სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ენის დახვეწაზე და ისეთ ლექსიკონის შერჩევაზე, რომელიც ეყრდნობა ხალხურ სიტყვიერებაზე, ნაკლებ არის შიგ უცხო სიტყვები და სავსებით გასაგები იქნება მასებისთვის.

ერთი სიტყვით საჭიროა ისეთი ლექსიკონი, რომელიც დროის დახარჯვის მინიმუმში გამოჰხატავს აზრის მაქსიმუმს.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია ბათუმში

ბათუმი. 3 მარტი. 3 მარტს, დილის 6 საათზე, ავსტრიის მუშათა დელეგაცია ჩამოვიდა ბათუმში.

რადგან ძალიან ადრე იყო და ავდარიც უშლიდა ხელს, შეხვედრა შინაურ ხასიათს ატარებდა.

დელეგაციის ვაგონი გადაყვანილ იქნა აზიზიეს მოედანზე.

11 საათზე, დელეგაცია მიწვეულ იქნა ამხანაგურ საუზმეზე, სასტუმრო „საფრანგეთში". იქ მას აჭარისტანის მუშათა სახელით მიესალმა პროფკავშირების საბჭოს თავმჯდ. ამხ. **ხარაბაძე.**

მთავრობისა და პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად დელეგაციამ კატერ „წითელ ბათომით" დაათვალიერა ნავთსადგური და სანაპირო ადგილები.

4 მარტს შესდგა პროფკავშირთა საბჭოს გაფართოვებული პლენუმი. შემდეგ დელეგაცია დაათვალიერებს დაწესებულებებს, წარმოებებს და ჰიდრო-ელსადგურს.

სხვადასხვა

— **პრეზიდენტის შეურაცყოფისათვის.** სოციალ-დემოკრატიული „პრავო ლიდუ"-ს ცნობით, კომუნისტი დეპუტატი კრეიბიხი პასუხისგებაში იქნება მიცემული ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცყოფისათვის. კრეიბიხმა პალატაში ადგილიდან მიაძახა სტივენს, რომ უკანასკნელი „ჯერ კიდევ 1920 წელს მოსყიდული იყო მასარიკის მიერ".

—**იტალიის და შვეიცარიის საზღვარის მოგვარება.** იტალიის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა წინასწარი შეთანხმება იტალიის და შვეიცარიის საზღვრის მოგვარების შესახებ.

—**გერმანიის ავიაცია.** „ეკსელსიორ"-ის ცნობით, ახლო მომავალში დამთავრდება მოლაპარაკება გერმანიის ავიაციის შესახებ.

გერმანიას ნება მიეცემა ააშენოს აპარატები მიმოსვლისათვის მათი ძალისა და მოქმედების რაიონის შეუზღუდავად, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს აპარატები არ იქნება გადაქცეული საბრძოლველ აპარატებად.

აკრძალული იქნება დიდი სისწრაფის ლითონის მონოპლანები.

— **ცენტრის მოწოდება.** რეიხსტაგის ცენტრის მოწოდება წინადადებას აძლევს პარტიის წევრებს არ მოაწერონ ხელი მოთხოვნილებას ყოფილ თავადების ქონების ექსპროპრიაციის შესახებ და მოითხოვს საგანგებო ტრიბუნალის დაარსებას.

— **ინგლისის მანდატის ქვეშ.** ჟენევიდან მიღებული ცნობით, პალესტინის არაბებმა მიმართეს ერთა ლიგას თხოვნით მოხდეს გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია პალესტინა ინგლისის მანდატის ქვეშ.

— **რუმინეთ - ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულება.** ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, შეერთებულმა შტატებმა და რუმინეთმა ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას.

— **საფრანგეთის ვალები.** მოლაპარაკება ამერიკისადმი საფრანგეთის დავალიანების შესახებ განახლდება მხოლოდ იტალიასთან საფინანსო შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ.

საქალაქო არჩევნები რუმინეთში. რუმინეთის საქალაქო საბჭოების ხელახალ არჩევნებმა გააუმჯობესა ოპოზიციის მდგომარეობა. ოპოზიციამ 10 ქალაქში მიიღო ხმის უმრავლესობა.

საფრანგეთი მოითხოვს. საფრანგეთის მთავრობამ ჰუნგრეთის მთავრობისაგან მოითხოვა ცნობა საპარლამენტო კომისიის მიერ ჰუნგრელ ყალბი ფულის მკეთებელთა საქმეზე წარმოებულ გამოძიების შედეგების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ქალთა უმუშევრობა

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილება აღნიშნავს ქალთა უმუშევრობის გაჭიანურებულ ხასიათს. დადგენილი, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სახ. კომისართა საბჭომ, დაავალონ ადგილებს წარმოებაში ჩააბან ქალები, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, სადაც ქალის შრომა დღემდის არ ყოფილა გამოყენებული, მაგრამ არც კანონმდებლობით ყოფილა აკრძალული, ქალთა განყოფილება საჭიროთ სთვლის ქალთა უმუშევრობასთან ბრძოლაში ყურადღების ცენტრი გადატანილი იქნას უმუშევარ ქალთა კვალიფიკაციის აწევაზე.

ამხ. კნორინის დანიშვნა

მოსკოვი, 3 მარტი. ამხ. სირტოვის ციმბირის საოლქო კომიტეტის მდივნად არჩევის გამო, საკავშირო კომპარტიის ცეკას საგიტ-საპროპამ. განყოფილების გამგედ ცეკამ დანიშნა ამხ. კნორინი.

ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის სამდივნო

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ დაამტკიცა ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის სამდივნო კიროვის (პირველი მდივანი), ანტიპოვის, შვერნიკის, კამაროვის და უგაროვის შემადგენლობით.

კოოპერატიულ გაზეთის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ დაადგინა, მოახდინოს კოოპერატიულ საბჭოს გაზეთის რეორგანიზაცია. აგრეთვე საჭიროთ იქნა ცნობილი „ცენტროსოიუზმა" გამოსცეს ყოველთვიური მასიური გაზეთი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

მოხსენება საკონტროლო კომისიის მუშაობაზე

(ლანჩხუთი, გურია)

24 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საჯარო სკოლის დარბაზში ლანჩხუთის რაიონის გაერთიანებულ კომუჯრედის არაჩვეულებრივ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქ. საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. იასონ ჯორბენაძე საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. მან გაჰყო თავისი მოხსენება ორ ნაწილად: 1. საკონტროლო კომისიის კონსტიტუცია და 2. პარტიის ავადმყოფობა. მოხსენების მეორე ნაწილი, რომელშიაც შედიოდა 15 მუხლი საანგარიშო(?) სხვა საკითხები, როგორიც არის: სპეცების დაუფასებლობა, შეძენის საკითხი, განლანძღვა და მითვისება, თვითნებობა და ხელისუფლების გადაჭარბება, პარტდისციპლინის დარღვევა და სხვა საკმაოდ ვრცლად, გასაგებად იქნა გაშუქებული მომხსენებლის მიერ. მოხსენების შემდეგ მან პასუხი გასცა რამოდენიმე შეკითხვაზე.

აღსანიშნავია, რომ მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ყველა ამხანაგებზე, პირველი, იმით, რომ ასეთი მოხსენება აქ [illegible] არ გაკეთებულა, და მეორე იმიტომ, რომ მას აქვს პრაქტიკული და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

სასურველია მომავალშიაც [illegible] საკონტროლო კომისის მიერ ჩატარებულ იქნებოდეს ასეთი მოხსენებები.

ირ. ებრალიძე.

უჯრედი იზრდება

(ჭიათურა, ზედა რგანის მაღაროების მუშური კომუჯრედი)

1925 წლის 26 მარტს დაარსდა ზედარგანის მაღაროებში მუშური კომუჯრედი, რომელიც შესდგებოდა სამი პარტ-წევრისა და 7 კანდიდატისაგან. იმავე დღეს იქნა გამოყოფილი ბიურო. სისტემატიურად იმართებოდა კომუჯრედის კრებები. ირჩეოდა სხვადასხვა საკითხები, სწარმოებდა პოლიტიკური მეცადინეობა.

თვეში ორჯელ იმართება დახურული კრება; ერთი ა. ლ. კ. კ. უჯრედთან ერთად და ერთი ღია კრება უპარტიო მუშებთან ერთად. რაც შეეხება ხელმძღვანელობის საკითხს, კომუჯრედი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც ა. ლ. კ. კ. უჯრედისა, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის მიმართ. უჯრედმა გამოყო კომფრაქცია, რომელიც ხელმძღვანელობს ადგილკომს. ყოველ სამ თვეში კომუჯრედი თავის კრებაზე ისმენს მოხსენებას ადგილკომის მუშაობის შესახებ.

დღეს კომუჯრედი აერთიანებს 11 პარტ-წევრს და 27 კანდიდატს. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ კომუჯრედს დიდი ავტორიტეტი აქვს უპარტიო მუშა-მოსამსახურეებში, რის გამო ლტოლვა კომპარტიისაკენ უპარტიო მუშებში დიდია.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კომუჯრედის წევრებს შორის ერთსულოვნებაა.

ვ. კაპანაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა საგეგმო კომისიის სავაჭრო-სამრეწველო სექციის წარმომადგენლის ინჟინერ ა. სამოილოვის მოხსენება,—ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის ხუთ წლიანი გეგმის შესახებ.

სექციის გეგმის მიხედვით 1926 წელს უნდა დამთავრდეს ერევნის, ზემო-ავჭალის, აბაშის, ლენინაკანის და იჯევანის ელექტრო-სადგურების აგება. ქუთაისის სადგური უნდა დამთავრდეს 1929—30 წელს. პირველი სამი წლის განმავლობაში საუღელტეხილო ხაზის ელექტროფიკაციისათვის გამოყენებულ იქნება ზემო-ავჭალის სადგურის ენერგია.

ქუთაისის ჰიდრო-ელექტროსადგურის აგების შემდეგ, რომელსაც საერთო საკავშირო მნიშვნელობა ექნება, დაწყებულ იქნება მუშაობა ზემო-ავჭალა—ქუთაისის ელექტროსადგურების დასაკავშირებლად.

ადგილობრივ სადგურებს შორის მიმდინარე წელს განზრახულია მუშაობის გახსნა ნუხის სადგურზე და აგრეთვე სოხუმის, განჯის, უზუნლარის და კახეთის ელექტროსადგურების საამშენებლო პროექტების შედგენა.

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა სავაჭრო-სამრეწველო სექციის მიერ წარმოდგენილი ელექტროფიკაციის საპერსპექტივო გეგმა შევსებულ იქნეს იმ საკითხების დამუშავებით, რომლებიც დაკავშირებული არიან ელექტრო-ქიმიური მრეწველობის პერსპექტივებთან და სხვ.

სცნო რა აუცილებლად ამიერ-კავკასიის წყალთა რესურსების გამოკვლევის დაჩქარება, კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა შეიმუშაოს ხსენებულ მუშაობის წარმოების წესი.

ბრძოლა მალიარიასთან

ჭაობების ამოშრობა შავი ზღვის ნაპირებზე

შავი ზღვის სანაპიროები ბათომიდან სოხუმამდე თავისი კლიმატიური პირობებისა და ზღვასთან სიახლოვის გამო შეიძლება გამოყენებული იქნეს კურორტების მოსაწყობად და სუბტროპიკული მცენარეების გასაშენებლად. მაგრამ ამჟამად ჭაობების სიმრავლის გამო შეუძლებელია ამ რაიონის რაციონალურად გამოყენება. ძლიერი წვიმების დროს მთებიდან ჩამოსული წყალი ფარავს ახლო-მახლო მინდვრებს და რადგან მას ზღვისკენ გასავალი არა აქვს, გუბდება ადგილობრივ. ამ რაიონში ჭაობების სივრცე უდრის 130.000 დესეტინას.

ჭაობების ამოშრობის საკითხი აღძრული იყო ჯერ კიდევ მეფისა და მენშევიკების მთავრობების დროს, მაგრამ იმ ხანებში არავითარი მუშაობა არ ყოფილა დაწყებული ამის განსახორციელებლად.

მუშაობა ჭაობების ამოსაშრობად დაიწყო გასაბჭოების პირველსავე წელს. ამჟამად სუფსასა და რიონს [illegible] გამოკვლევა [illegible] ჭაობებიდან ამოშრობილია 6.000 დესეტინა. ამჟამად მუშაობა სწარმოებს ქობულეთის და ოჩემჩირის ჭაობების ამოსაშრობად.

გასული წლის განმავლობაში ჭაობების ამოშრობაზე დაიხარჯა 200.000 მანეთი; მიმდინარე წელს კი განზრახულია ამ საქმისათვის გადაიდოს 245 ათასი მანეთი; აქედან 200 ათასი მანეთი მოხმარდება ფოთის ჭაობების ამოშრობას, 45 ათასი მანეთი კი სამელიორაციო მუშაობის წარმოებას აჭარისტანში.

ამჟამად სწარმოებს უზარმაზარი თხრილის გაყვანა ქალ. ფოთის გარშემო; თხრილის სიგრძე იქნება 55 ვერსი. იგი მდ. რიონს შეუერთებს შავ ზღვას; ამ თხრილის გაყვანის შემდეგ ფოთი უზრუნველყოფილი იქნება წყალდიდობისაგან. მუშაობის უდიდესი ნაწილი უკვე შესრულებულია.

ფოთის გარდა, თხრილის [illegible] სწარმოებს მდ. რიონამდე და ქალ. ოჩემჩირის გარშემო. ახლო ხანში დაიწყება მუშაობა სოხუმის ჭაობების ამოსაშრობად.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

ტრაქტორები ყარაიაში

გუშინწინ, დილის 3 ს. ყარაიადან ტფილისში დაბრუნდა პრაქტიკანტ-ტრაქტორისტების პირველი სკოლა, რომელიც არსებობს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

სკოლის გამგზავრების მიზანი იყო, პრაქტიკული ცოდნის მიღება სატრაქტორო საქმეში. ყარაიაში დახნილ იქნა [illegible] მეურნე გლეხების მიწები. [illegible] განმავლობაში, 36 მანქანით 14 „ხოლტ"-ის და „ფორძონის" სისტემის („ხ[illegible] მანქანები) დაიხნა 400 დესეტინა მიწა. პრაქტიკანტ-ტრაქტორისტები-[illegible] 90 პროც. გლეხებია.

მიუხედავად პრაქტიკული მეცადინეობის საკმაოდ მოკლე ვადისა, ტრაქტორისტებმა საკმაოდ შეითვისეს, არა მარტო პრაქტიკული მუშაობა მიწის მოხვნის დარგში, არამედ მათ ისწავლეს მანქანების დაშლა-შეგროვება, საკმაო ცოდნა მიიღეს ნიადაგის თავისებურების შესახებ და გაეცნენ ამა თუ იმ მინერალური სათბობი მასალის მნიშვნელობას და გამოყენებას.

პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად სწარმოებდა მანქანების გამოცდა და შემოწმება. 5 მარტიდან დაიწყება ტრაქტორების განაწილება აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებს შორის.

აღნიშნულ ტრაქტორებს გარდა, ახლო ხანში საზღვარგარეთიდან მიღებული იქნება ტრაქტორების ახალი პარტია—20 ტრაქტორი: „ხოლტი"-ს და 15 „ეისის" სისტემისა. ტრაქტორისტების მეორე ჯგუფის გამოშვება მოხდება მიმდინარე წლის 10 მარტს.

ქალთა მუშაობა

საჭამიასერის დელეგატ-ქალების ორგანიზაციაში

(საჭამიასერი, გურია)

საჭამიასერის თემში ქალთა შორის მუშაობა ყოველთვის თავის სიმაღლეზე იდგა, და ეხლაც კარგადაა დაყენებული. ქალთა სადელეგატო კრებები ხდება კვირაში ერთხელ.

აქ ხშირათ ისმება საზოგადოებრივი ხასიათის საკითხები, როგორიცაა: [illegible], ლიკსკოლა და სხვა ყველა ამ საკითხების მოგვარებაში ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. ქალთა სადელეგატო კრებებს ხელმძღვანელობს კომკავშირელი და უპარტიო ქალებიც. ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოდიან საზოგადოებრივ საქმეებში.

საბჭოს არჩევნებში ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

ეხლა ქალთა ორგანიზაცია ხსნის პროფსკოლას, სადაც გლეხი ქალები მიიღებენ სათანადო ცოდნას.

შაქრო.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ა.-კ. მე-4 ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

3 მარტს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა სექციების მუშაობის ანგარიში და დაამტკიცა წარმოდგენილი რეზოლიუციები. შემდეგ მოხსენება გააკეთა სამანდატო კომისიის წარმომადგენელმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სულ ყრილობას დაესწრო 477 დელეგატი. მათ შორის 410 გადამწყვეტი ხმის უფლებით, 67 სათათბირო ხმით. საქართველოდან იყო 204 კაცი, აზერბეიჯანიდან 190; სომხეთიდან 83; დელეგატების ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირია: ქართველი 116, თურქი 93, სომეხი 101; რუსი 71; ოსი 10; აფხაზი 6 და სხვადასხვა ეროვნების 13; სქესობრივი შემადგენლობა ქალი—21 კაცი—389; სოციალური შემადგენლობა: მუშა—149; მოჯამაგირე—9; გლეხი—130; სხვადასხვა—122; განათლების მიხედვით ყრილობა შემდეგ სრულიად უცოდინარი—5; მცირე [illegible] უცოდინარი—5; მცირე მცოდნე 40; დაბალი განათლებით—249; საშუალო განათლებით—112 და უმაღლესი განათლებით—4; პარტიული შემადგენლობა: პარტიის წევრი 1917 წლ. 19-მდი—11: 1920-დან 21-ამდე—31; 1924-დან 25 წლამდე—253 და 1926 წლიდან—6.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ მოხდა არჩევნები. საოლქო კომიტეტში აირჩიეს 53 წევრი და 17 კანდიდატი.

საოლქო კომიტეტში აირჩიეს შემდეგი ამხანაგები:

ქართველიშვილი, ნაზარეტიანი, კუჩეროვი, რახმანოვი, დარახველიძე, გუმედინი, გოდოვი, გობეჩია, მარტიროსიანცი, ახუნდზადე, ნაიდენოვი, კორსაველი, ბახტაძე, ინჯიკიანი, პალლერი, პერსიკოვი, არზუმანიანი, აზარაშვილი, რახმანი, გეგეჭკორი, გავრიში, გუსეინოვი, მუსტაფაევი, სალუქვაძე, გვანცელაძე, არუთინოვი, დუბროვი, აბგაჯი, სიმიონოვი, მერადოვი, ჯიჯოევა, კობახიძე, დანელიანი, რასულოვი, შენგელია, პერვუშინი, ნურიევი, კავალიოვი, ჯავახიძე, ნესტოროვი, ჭანკვეტაძე, გრიგორიან, კარიანი, მიხალიევი, გურგენიძე, კურნიკოვი, დავთიანი, ბაგრატუნი, მუსაევი, ტავაკალიანი, დარახჩიევი, ალტშულერი, მიკირტუმიანი და გაზარიანი.

კანდიდატებათ:

ვოსტრიკოვი, სადიხოვი, კაჯარავა, ვართაპეტიანცი, კაუზოვი, ხამასურიძე, ბარსეგოვი, ხაჩუმოვი, ადამოვი, ხოჯაიანი, თავდგირიძე, სარქისოვი, ზეინალოვი, დოლიძე, ფიშერი, ფილიპოვი და ოვანესიანი.

ა. ლ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი

გუშინ, საღამოს, 7½ საათზე შესდგა ახალგაზრდათა ლენ. კომკავშირ. ა. კ. საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: რახმანოვი, კუჩეროვი, ქართველიშვილი, დარახველიძე, გუმდენი, კურნიკოვი, დავრიში, გეგეჭკორი, ახუნდ-ზადე, სალუქვაძე, მარტიროსიანი და გობეჩია.

კანდიდატებათ: ინჯიკიანი და კორსაველი.

სამდივნოში პლენუმმა 3 ამხანაგი აირჩია: რახმანოვი, გუმდენი და გობეჩია.

საქართველოს ა. ლ. კომკავშირის ცეკას პირველი პლენუმი

გუშინ, საღამოს, 6 საათზე, შესდგა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას პირველი პლენუმი.

პლენუმმა ცეკას პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: გობეჩია, კორსაველი, გვანცალაძე, ჯავახიძე, ნესტოროვი, აზარაშვილი, ლ. სალუქვაძე, გეგეჭკორი და არუტინოვი.

კანდიდატებათ: ტაბიძე, ფრანგიშვილი და ძიგრაშვილი.

ცეკას პასუხისმგებელ მდივნად იქნა ამხ. გობეჩია.

ქართული შრიფტის რეფორმა

გუშინ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ქართული შრიფტის გარდაქმნის ახალი პროექტი.

შრიფტის რეფორმის მხატვრულ ტექნიკურ მხარეზე მოხსენება გააკეთა პროექტის ავტორმა მხატვარმა **დ. შევარდნაძემ,** ხოლო რეფორმის ჩატარების ფინანსიური მხარე გააშუქა **ამხ. ვირაპმა.**

როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, ამჟამად არსებული ქართული შრიფტის დიდი უხერხულობა არის ის, რომ ასოები თავის სიგანით იყოფა 18 ჯგუფად მაშინ, როცა ლათინური შრიფტი 3 ჯგუფად; ამ ნაკლულოვანების გამო არსებული შრიფტით აწყობილი ტექსტი იკავებს ბევრად მეტ ადგილს—ერთი მხრივ, და მეორე მხრივ—მეტად ძნელი ხდება (დიდი დრო უნდება) ქართული ტექსტის კორექტორას.

წარმოდგენილი პროექტით ქართული ასოების აგებულება მარტივდება და მთელი ასოები თავისი სიგანით ნაწილდება ორ კატეგორიად.

ამ რეფორმის შემდეგ შრიფტი ღებულობს განსაკუთრებით გარკვეულ სახეს. ასოების რეფორმის გამარტივება (ლ. დ. და სხვა) საფუძვლად იდება ქართულ ხელთნაწერის ვარიანტები.

პროექტით ახალი შრიფტზე გადასვლისათვის საჭიროა დაახლოვებით 400 ათასი მანეთი. მაგრამ ამ შრიფტზე გადასვლა იმდენ ეკონომიას იძლევს, რომ სულ მოკლე ხანში დაჰფარავს რეფორმაზე გაღებულ ხარჯებს. ახალი შრიფტი იძლევა 16,5 პროცენტს ეკონომიას ტექსტში (სიგანის შემცირების გამო) და 20 პროც. ჩამოსასხმელი ლითონის ეკონომიას. რეფორმა იძლევა საშუალებას, რომ ცაცეროს შრიფტიდან გადავიდეთ კორპუსზე, რაც საგრძნობლად შეამცირებს ქაღალდის ხარჯს. რეფორმის მთავარ ხარჯებს წარმოადგენს: ახალი შრიფტის ჩამოსასხმელად და მატრიცების და ლინოტიპების დასამზადებლად. ყველა ეს სამუშაოები შეკვეთილი იქნება გერმანიაში, სადაც ამ საქმის ხელმძღვანელობისათვის გაიგზავნება პროექტის ავტორი მხატვარი შევარდნაძე.

სახალხო კომისართა საბჭომ მოხსენების თანახმად მიიღო შრიფტის პროექტი და დაამტკიცა მის ჩასატარებლად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც შეტანილი იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

შრიფტის რეფორმა დაიწყება მომავალ წლიდან.

რკინის გზებზე

უბედურ შემთხვევებთან ბრძოლა

ორშაბათს, 1 მარტს დაახლოებით საღამოს 8 საათზე, სადგ. ნავთლუღში მოხდა სახალხო მატარებლის № 12 და შესაკრებ მატარებლის № 340 დაჯახება, რასაც შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი ზარალი.

ამ შემთხვევის გამო ნავთლუღში გაემგზავრა სპეციალური საგამომძიებლო კომისია. ამ კომისიის წევრმა ამხ. **საბენკომ** ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

დატაკება მოხდა ერევანს და ბაქოდან მომავალ მატარებლებს შორის, რადგან ერთმა 8 წუთით დაიგვიანა და მეორე 5 წუთით ადრე იქნა მიღებული. ბაქოდან მომავალი მატარებელი ამავე დროს მიღებულ იქნა დაკეტილ სემაფორის ქვეშ, რაც აიხსნება მემანქანე ჩახავას სიმთვრალით, რომელმაც, მიუხედავად მიცემულ ნიშნებისა, [illegible] მატარებელი დაეტაკა ერევნიდან მომავალ მატარებლის ორთქმავალს, რომელსაც იღებდენ მე-3 ხაზზე. ამას შედეგად მოჰყვა ბაქოს მატარებლის ორთქმავლის ლიანდაგიდან სრულიად გადავარდნა და ინგლისური ისრის გამობრუნება. ბაქოს მატარებლის შემადგენლობიდან სრულიად დამსხვრეულია ცარიელ კასრებით სავსე 3 ხურული ვაგონი, საგრძნობლად დაზიანებულია აგრეთვე 2 ცისტერნა, მესამეც გახვრეტილია და ამის გამო დაქცეულია 750 ფ. ნავთი. ვინაიდან ერევნის მატარებლის ორთქმავალი დაზიანებულ იყო უმნიშვნელოდ, მატარებელი ჩამოვიდა თბილისში.

ამ შემთხვევას მოძრაობისათვის ხელი არ შეუშლია და არც ადამიანების მსხვერპლი ყოფილა.

მემანქანე ჩახავა შემოწმებულ იქნა მთვრალად და როგორც ის, ისე მისი თანაშემწე, დაპატიმრებულ იქნენ.

— ეს ფაქტი—სთქვა ამხ. საბენკომ, კიდევ ერთხელ ადასტურებს ა. კ. სახკომსაბჭოს კომისიის მიერ გამოტანილ დასკვნას, რომ უბედურ შემთხვევების უმეტესობა ხდება: გზის აგენტების სიმთვრალისა, დაუდევრობისა და ტექნიკური პერსონალის უდისციპლინობის გამო.

როგორც ვამჩნევთ, სიმთვრალე ჩვენს ტრანსპორტზე სისტემატიურ ხასიათს ღებულობს, მიუხედავათ გზათა სამმართველოს მთელ რიგ ცირკულიარული განკარგულებათა.

ამიტომ სატრანსპორტო საგანგებო კომისია შემდეგში უკვე მიმართავს უსასტიკეს ზომებს და დაუნდობელი იქნება სამსახურში სიმთვრალის და დაუდევრობის მიმართ.

ამხ. ივანოვის დეპეშა

1 მარტს, სადგ. ნავთლუღში მომხდარ დატაკების გამო, ა. კ. რკ. გზ. სამმართველოს თავმჯდომარემ ასეთი დეპეშა დაუგზავნა ა. კ. რკ. გზ. ყველა ხაზების ყველა სადგურებს:

„სადგ. ნავთლუღში, საორთქმავლო ბრიგადის მიზეზით შენაკრები მატარებელი № 340 შეეჯრა გვერდში სახალხო მატარებელს. ამ შემთხვევის გამოძიების მიერ დამტკიცებულ იქნა არა ფხიზელი მდგომარეობა მატ. № 340-ს ორთქმავლის ბრიგადისა.

ეს შემთხვევა ამტკიცებს, რომ მოსამსახურეთა შორის საქმისადმი დაუდევრობამ ღრმად გაიდგა [illegible] აყენებენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და ამასთანავე მგზავრებსაც, რომელთაც სიცოცხლეც არ არის დაზღვეული უბედურ შემთხვევიდან ასეთ მუშაკთა იმედით.

ცალკე პირთა დანაშაულობანი ჩირქს სცხებენ ტრანსპორტის ყველა მუშაკებს. მოვუწოდებ ყველა პატიოსან რკინისგზელებს აწარმოონ დაუნდობელი ბრძოლა ამგვარ ბოროტების წინააღმდეგ და დახმარება გაუწიონ ადმინისტრაციას ნამდვილ დამნაშავის აღმოჩენაში.

გაფრთხილებთ, რომ თუ შემდეგში ასეთი შემთხვევები არ მოისპობიან, იძულებული ვიქნები დავსვა საკითხი დამნაშავეთ უსასტიკესი დასჯის შესახებ. აღნიშნული დეპეშა გამოკიდებულ იქნას სადგურების ყველა სამორიგეო შენობებში და იგი გაეცნოს ყველა მუშებსა და მოსამსახურეებს.

რკ. გზ. ქრონიკა

გადაზიდვა მარტში

ა. კ. რკ. გზ. არსებულ გადაზიდვის კომიტეტმა დაამტკიცა მარტის გადაზიდვის გეგმა. გეგმის თანახმად ამ თვეში გათვალისწინებულია 1150 სარონოდო ერთეულის გადაყვან-გადმოყვანა, რომელთაგან დღე-ღამეში: დატვირთულ უნდა იქნეს მშრალი ტვირთით 610 ვაგონი, ნავთის პროდუქტებით 265 ცისტერნა და მიღებულ უნდა იქნეს ჩრდილო-კავკასიიდან 275 ვაგონი.

წლიური ბილეთების ვადის გაგრძელება

ა. კ. რკ. გზ სამმართველოს ადმინისტრატიული დარგის ცნობით რკ. გზებზე სამგზავრო წლიური ბილეთების ვადა, რომელიც გაგრძელებულ იყო 1 მარტამდე, გაგრძელებულია 1 აპრილამდე.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

8 მარტის დღესასწაულის ჩასატარებლად

საბჭოთა საქართველოს ყველა სკოლას

მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე—8 მარტი—ახლოვდება. ამ დღეს ყველა ქვეყნის მშრომელი ქალები თავიანთ რიგებს გადათვალიერებენ, მუშათა კლასის საერთო რიგებში ჩატარებულ ბრძოლისა და შრომის შედეგებს შეაჯამებენ, ბრძოლისა და აღმშენებლობის მორიგ ამოცანებს გაითვალისწინებენ, საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონურ ძალებს მშრომელთა ახალი მასებით შეავსებენ.

სადაც კაპიტალიზმის კერპი ჯერ კიდევ არ დამსხვრეულა და სადაც საერთაშორისო ბურჟუაზია, მეორე ინტერნაციონალის ერთგული დახმარებით, გააფთრებულ შეტევას აწარმოებს კომუნიზმისათვის მებრძოლ მუშათა კლასის წინააღმდეგ,—იქ 8 მარტი პროლეტარიატის რიგებში მშრომელი ქალების დარაზმვის და რევოლიუციონური ბრძოლის გაძლიერების დღე იქნება.

სადაც ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმი ცეცხლით და მახვილით ებრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად ამოძრავებულ ახალშენებსა და ნახევრად ახალშენების მშრომელ მასებს, სადაც თეთრ და ყვითელ კაპიტალისტ გენერლებს სწყვეტენ მთელი ქვეყნის მასების ფიზიკური არსებობის საკითხს, იქ მშრომელი ქალების მორიგი ამოცანა თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგების გამაგრება და რევოლიუციონური ბრძოლის გაძლიერება. 8 მარტს ამ ამოცანის გარშემო დაირაზმებიან ალში გახვეულ და მშრომელთა სისხლით მორწყულ აღმოსავლეთის მშრომელი ქალები.

სადაც მშრომელ მასებს თავისი ბატონობა დაუმკვიდრებიათ და პროლეტარული ხელმწიფო განუმტკიცებიათ, სადაც გაცხოველებული შრომით სწარმოებს სოციალისტური აღმშენებლობა და ეკონომიურ-კულტურული აღორძინება—იქ 8 მარტს ქალაქისა და სოფლის მუშა ქალები ახალ რიგებს შემატებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დროშას; [illegible] გაერთიანებულ მშრომელ მასებს ახალ ცხოვრების შექმნაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად; ახალი თაობის სოციალისტური აღზრდა და ამისათვის ბავშვთა დაწესებულების ქსელის შექმნა, სოციალისტური აღმშენებლობის გაძლიერება, ახალი კულტურა და ყოფა-ცხოვრება, მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღება და გაუმჯობესება, მშრომელ ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გათვითცნობიერება და აღმშენებლობაში ჩაბმულ მშრომელი მასების გაძლიერება, თავისუფლებისათვის მებრძოლ დასავლეთის და აღმოსავლეთის მუშა ქალებისათვის დახმარების აღმოჩენა—ასეთ ამოცანების გარშემო დაირაზმებიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მშრომელი ქალები.

სოფლის და ქალაქის მუშა ქალთა გათვითცნობიერების და შეკავშირების საკითხი—საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხია და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; ქალთა საერთაშორისო დღე არსებითად მთელი მუშათა კლასის დღეა, ცალკე გამოყოფილი იმ მიზნით, რომ ხაზგასმით აღინიშნოს მშრომელი ქალების შედარებით სუსტი მონაწილეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში და ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ მიმართული ამოცანები იქნას დაყენებული. ამიტომ 8 მარტი მშრომელთა მასების საერთო დღეა, მის ჩატარებაში ფართო მასებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ცხადია, რომ საბჭოთა სკოლამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დღის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დღის ჩატარებაში. ეს სკოლისათვის სავალდებულოა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის და ახალი თაობის სოციალური აღზრდის ხაზით.

გარდა იმისა, რომ თვითეული სკოლა აღნიშნავს ამ დღეს მისი მნიშვნელობის გაშუქებით - მოხსენებებით, რეფერატებით, წარმოდგენით, კედლის გაზეთით, წითელი კუთხის მოწყობით, ლოზუნგების და პლაკატების დამზადებით და სხვა,—იქ, სადაც სკოლა მთავარ კულტურულ ცენტრს წარმოადგენს, სკოლის, ადგილობრივ ორგანიზაციების და დელეგატ ქალთა შეთანხმებული ძალებით უნდა ჩატარდეს 8 მარტი, როგორც მშრომელთა მასობრივი დღე. მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლობა—მით უმეტეს ქალი—მასწავლებელი,—აქტიურად გამოვლენ მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მისი მნიშვნელობის გასარკვევად და მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ იმ ამოცანების დაყენება-გაშუქებაში, რომელთაც [illegible] სოციალისტური აღმშენებლობისა და საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის დიადი საქმე.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისრის მოადგილე **მარიამ ორახელაშვილი.**

სასკოლო განყოფილების გამგე **გ. გოგუაძე.**

საბჭოთა არჩევნები

ძველი ხელმძღვანელები არ გამოდგნენ

(ს. პატრიკეთი, ქუთ. მაზ.)

რა გააკეთა საბჭომ და აღმასკომმა ამ ერთი წლის განმავლობაში? საბჭო იყოფა სხვადასხვა სექციებად, როგორც არის სანიტარული სექცია, გზათა სექცია მიწის [illegible] სექცია და სხვა. რა გააკეთეს ამ სექციებმა? ეგაა იმიტომ იყვნენ არჩეული, რომ ფორმალური მუშაობა ეწარმოებინათ? სანიტარულ სექციას ერთხელაც არ შეუწუხებია თავი, რომ აუცილებელი და საჭირო საქმე გაეკეთებია, ყველგან უსუფთაო წყლები, ყველგან ნეხვები, მყრალი სუნი და სხვა.

„ეიძლება გზათა სექციამ გააკეთა რამე? „არ შეეჭამოს ჭირმა“, იმან თავი არ შეეწუხებინოს. თემში, რომ კაცს დაგჭირდეს გარება, შენი მტერია, ის ვერ გავიდეს იმ ლაფოებიდან, რომლებიც გზებს ამშვენებს.

მაგრამ იქნებ მიწის კომისიამ გააკეთა რამე? ჩვენმა მიწის კომისიამ ჩამოართვა ზოგიერთ გლეხებს მიწები და თვითონ მიიხომეს.

მე მგონია ეს საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველმა გაიგოს ჩვენი მიწის კომისიის ხასიათობა.

ადევ ერთი მაგალითი, ამ თემში იყო ფონდის ტყე. მიწის კომისიამ ეს ტყე გაანაწილა თავის უახლოეს მეზობლებში.

ის ხალი, რომლებსაც არც შეშა ქონდა და არც საზრდო, არც კი გახსენებიათ, აი ჩვენი სექციების საქმენი საგმირონი.

ეხლა თვით აღმასკომის მუშაობას შევეხოთ; აღმასკომი ვერ ხდება თავის სიმაღლეზე.

ასეთ დიდ თემს არა ყავს ექიმი. წინა წელს აქ საუკეთესო ექიმი იყო, რომელიც თავს დასტრიალებდა გლეხებს. მაგრამ ეხლანდელმა აღმასკომის თავმჯდომარემ არ მისცა გასამრჯელო და ექიმი სამ თვეს ემსახურა თემს უფასოთ. შემდეგ კი იძულებული შეიქნა წასულიყო. ის საექიმო პუნქტი, რომელიც წარსულ წელს იქნა დაწყებული, დღესაც მოუთავებელია.

წარსულ წელს გლეხები მუშაობდენ ურმით საბჭოთა 1-ლ არხზედ, რომ იქიდან ქირა აეღოთ და ოჯახის აუცილებელი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია, მაგრამ ფული დღესაც არ აუღიათ. მიუხედავათ იმისა, რომ მას აქეთ წელიწად ნახევარზე მეტი არის გასული.

საბჭოს არჩევნები, დიდი ალიაქოთით და ჩხუბით იქნა ჩატარებული. ამ დღეებში გლეხები მოითხოვდენ აღმასკომის მუშაობა უარყოფითად ყოფილიყო ცნობილი; გარდა ამისა წინააღმდეგი იყვნენ საბჭოში იმ ხალხის გაყვანის, რომლებმაც ვერ გაამართლეს ხალხის იმედები. ავილოთ გადასახადის საკითხი. თუმცა გადასახადი შარშანდელთან შედარებით მცირეა, მაგრამ მაინც არის დეფექტები. გლეხები სიხარულით იხდიან წელს გადასახადს, მაგრამ გული მაინც სტკივათ. ეს იმიტომ, რომ შეძლებულ გლეხს უფრო ნაკლები აქვს შეწერილი და ღარიბს კი მეტი.

ეხლა თვალი გადავავლოთ კოოპერატივის მუშაობას. კოოპერატივი უფრო ხშირად დაკეტილია. რატომ? იმიტომ, რომ ნოქარს საქონლის მუშაობა აქვს, იმიტომ, რომ ნოქარი ქეიფობს და სხვა. ბევრჯელ შეხვდებით გლეხებს კოოპერატივის წინ ატუზულებს, რომლებიც მოუთმენლად ელიან ნოქარს, მაგრამ ამაოთ.

ჩვენს თემში ბევრი არის კოოპერატივის წევრი, მაგრამ ბევრი კი უსახსრობის გამო ვერ ჩაწერილა წევრათ. ღარიბი გლეხები სთხოვენ ნოქარს, რომ საქონლის ქუთაისიდან მოსატანად წაიყვანოს ისინი ურმით და ქირა საჭიროა გადასახადათ უანგარიშოს, მაგრამ ნოქარი არ თანხმდება.

ყოველივე ზემოჩამოთვლილიდან დასკვნა ეს იქნება, რომ ამ თემში ერთი წლის განმავლობაში არაფერი ახალი არ გაკეთებულა. ყველაფერი, რაც შარშან დაიწყო, მოუთავებელი დარჩა. მაგრამ შეიძლება მომავალმა საბჭომ და აღმასკომმა მაინც შეასრულოს ის, რაც უნდა გაკეთებულიყო, და რასაც წამოუყენებს მათ მომავალი ცხოვრება.

სოფლელი გლეხი.

ანგარიშები

(კურზუს თემი, სენ. მ.)

კურზუს თემში გზები უიუგემო მდგომარეობაშია. საბჭოს ხელში რაც იყო გაკეთებული ისიც გაფუჭდა, შეკეთებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აღმასკომს თითქმის არ გაუნძრევია გზების შესაკეთებლათ. როცა საარჩევნო კრებაზე საბჭოს თავმჯდომარე ფირცხალავას შეეკითხენ, თუ რატომ მოხდა ეს, პასუხი მოკლე იყო:

„მათრახი, მათრახია საჭირო, თორემ ისე თქვენგან არაფერი ხეირი გამოვაო“.

თემში სკოლები საცოდავ მდგომარეობაშია. კარგა ხანია ისინი საჭიროებენ შეკეთებას. როცა თავმჯდომარეს შეეკითხენ, თუ რატომ არ მიიღო აღმასკომმა ზომები სკოლების შესაკეთებლათ, პასუხი აქაც გარკვეული იყო: „მოცლილი ხართ თქვენ, როგორც გეტყობათ; სკოლა კი არა ჩემი სახლი არ გამიკეთებიაო“. თემში არის ტელეფონი. ფირცხალავას აქაც მზათ აქვს პასუხი: „ჭავრამ არ გააკეთა“. კურზუსელი გლეხები დიდი ხანია თხოულობენ სამკითხველოს გახსნას. ფირცხალავას აზრით ეს განუხორციელებელი ოცნებაა, რადგან „არ არის სამკითხველოს გამგე და წიგნსაცავი“.

ასეთია თავმჯდომარე ფირცხალავას ავტორიტეტული განმარტებები აღმასკომის მუშაობის ნაკლულევანებათა შესახებ.

როგორც ეტყობა ის მათრახის დიდი მოტრფიალე კაცია, მაგრამ რატომ დაავიწყდა ეს ძველი მამასახლისის სახელგანთქმული იარაღი ჩვენს თავმჯდომარეს, როცა თემში სამჯერ მოხდა ფულის შეკრება კოოპერატივის დასაარსებლათ და სამივეჯერ გაიფლანგა ეს ფულები.

ან კი რა უნდა ელაპარაკო ისეთ თავმჯდომარეს, რომელსაც საკუთარი სახლი ვერ გაურჩევია საზოგადო სახლისაგან, როგორიცაა სკოლა. კიდევ კარგი, რომ არჩევნების დრო დადგა, თორემ ფირცხალავას მზგავს საზოგადო მუშაკების ხელში კურზუს გლეხებს ხეირი არ დაეყრებათ.

აბაშისპირელი.

არჩევნები და ვამთავრეთ

(ძონძირ - ისულის თ., სენ. მ.)

ეს თემი იყო დაყოფილი ორ საარჩევნო პუნქტად: ძონძირი და ისულა. ამომრჩეველთა სია რამოდენიმე დღით ადრე იყო გაკრული თვალსაჩინო ადგილებზე. უფლება აყრილთა რიცხვი იყო სულ 6, რომელთა სიაც იყო თავის დროზე გამოქვეყნებული.

საარჩევნო კომისიის მუშაობა ამ მხრით კანონიერად მიმდინარეობდა.

საარჩევნო კომისიის მუშაობა ამ მხრით კრებამ მოისმინა ძველი საბჭოს მუშაობის ანგარიშები. ანგარიში იქნა ცნობილი დამაკმაყოფილებლად. მომავალ საბჭოს სახელმძღვანელოდ იქნა შემუშავებული განაწესი („ნაკაზი“)

საბჭოს კანდიდატთა სია ადრე იქნა შემუშავებული ადგილობრივი კომპარტიისა და მოწინავე ამხანაგების შეთანხმებით.

დანიშნულ დღის ძონძირის პუნქტში გამოცხადდა ამომრჩეველთა 60 პროცენტი. ისულაში—85 პროცენტი; ეს იმიტომ, რომ ცუდმა ამინდმა შეუშალა ხელი.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ქალები, რომელნიც წინა არჩევნებში იშვიათად ესწრებოდნენ, წელს ბლომად გამოცხადდნენ. არ [illegible] ოჯახში,გარდა ძუძუმწოვარა ბავშვის პატრონისა, არც ერთი დედაკაცი. საერთოდ, ასეთი მასიური ხასიათის არჩევნები პირველია ჩვენს თემში.

მოწინავე ამხანაგების მიერ წამოწყებულ სიას ამომრჩევლებმა დაუმატეს კანდიდატები და ამრიგად შესდგა ერთი სია. სულ იყო ორივე საარჩევნო პუნქტში წამოყენებული 35 კანდიდატი. აქედან რჩებოდა საბჭოს წევრად მხოლოდ 14 კაცი. კანდიდატებს კენჭი ეყარათ პერსონალურად. ხმის უმრავლესობით გავიდნენ: უპარტიო—6, პარტიული—6, ქალი—1, მასწავლებელი—1, სულ—14. კანდიდატებათ 5 კაცი: 1 პარტიული, 4 უპარტიო.

იქნა აგრეთვე არჩეული სარევიზიო კომისიაც სამი კაცისაგან. მათი შემადგენლობა ასეთია: 2 უპარტიო და 1 ახალგაზრდა.

საბჭოს პირველი სხდომა უკვე მოხდა. სხდომას დაესწრო სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. არჩილ გიორგაძე.

სხვა საკითხთა შორის იდგა საკითხი აღმასკომის არჩევის შესახებ.

აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ ილ. ბახტაძე (კომუნისტი), მოადგილედ—თედ. ნაროუშვილი (კომუნისტი), მდივნად—ვლადიმერ ხოფერია (უპარტიო.)

აქ. ტეხურელი.

სად როგორ ჩატარდა არჩევნები

ზუგდიდის მაზრა

— **მუხრანის** თემის საბჭოში არჩეულ იქნა 37 წევრი, მათ შორის 7 კომ., 1 კომკავშირელი, 29 უპარტიო, აქედან 4 ქალია.

— **ჭკადუაშის** თემის საბჭოში არჩეული იქნა 21 წევრი, 1 კომ., 1 კომკავშირელი, 19 უპარტიო, მათ შორის 3 ქალია.

— **ზუგდიდის** სათემო საბჭოში არჩეული იქნა 27 წევრი, მათ შორის 3 კ. პ. კანდიდატი, 3 კომკავშირელი, 21 უპარტიო.

— **ახუთის** თემ-საბჭოში არჩეული იქნა 33 წევრი, მათ შორის 3 კომ., 5 კომკავშირელი, 25 უპარტიო. არჩეულთა შორის არის 3 ქალი.

ოზურგეთის მაზრა

— **კაპრეთის** თემ-საბჭოში აირჩიეს 40 წევრი, აქედან 14 კომ., 1 კომკავ., 26 უპარტიო, მათ შორის 6 ქალია.

— **ხიდისთავის** საბჭოში არჩეული იქნა 63 წევრი, მათ შორის [illegible] კომ. [illegible] უპ., აქედან 8 ქალია.

— **ჩოხატაურის** თემ - საბჭოში აირჩიეს 67 წევრი, 43 კომ., 6 კომკავ., 18 უპ., მათ შორის 8 ქალია.

— **ნაგომარის** თემის საბჭოში აირჩიეს 12 წევრი, მათ შორის 6 კომ., 1 კომკ., 5 უპარტიო, აქედან 2 ქალია.

— **შუასურების** თემის საბჭოში აირჩიეს [illegible] წევრი, მათ შორის [illegible] კომ. კანდ., 1 კომკ., 3 უპარტიო, აქედან 1 ქალია.

ლეჩხუმის მაზრა

— **ქვიშის** თემ - საბჭოში აირჩიეს 32 წევრი, 12 პარტ., 16 უპ., აქედან 3 ქალი.

სვანეთის მაზრა

— **მესტიის** თემ - საბჭოში აირჩიეს 7 წევრი, მათ შორის 1 კომკავშირელი, 1 ქალი და 5 უპ.

— **ჩოლურის** სათემო საბჭოში აირჩიეს 5 წევრი. ხუთივე უპარტიო.

სამხრეთ—ოსეთი

— **კუდარის** თემ-საბჭოში აირჩიეს 36 წევრი, მათ შორის 18 კ. პ., 1 კომკ., 17 უპ., აქედან 4 ქალი.

სიღნაღის მაზრა

— **კაჭრეთის** თემ-საბჭოში აირჩიეს 40 წევრი, მათ შორის 7 კომ., 4 კომკ., 29 უპ., არჩეულთა შორის 8 ქალია.

— **ქედის** სათემო საბჭოში არჩეული იქნა 34 წევრი, მათ შორის 7 კომ., 1 კომკ. 26 უპ.

— **ლაგოდეხის** თემ-საბჭოში არჩეული იქნა 68 წევრი, მათ შორის 12 კომ., 9 კომკ., 47 უპარტიო.

— **იორ-მუღანლოს** სათემო საბჭოში აირჩიეს 43 წევრი, მათ შორის 6 კ. პ. კანდ., 37 უპარტიო, აქედან 2 ქალია.

ბორჩალოს მაზრა

— **შაუმიანის** თემის საბჭოში აირჩიეს 61 წევრი, მათ შორის 15 კომ., 6 კომკ., 40 უპარტიო, აქედან 4 ქალია.

— **დუზანის** სათემო საბჭოში აირჩიეს 28 წევრი, აქედან 1 კომ., 1 კომკ., 26 უპარტიო.

პროფკავშირებში

ხელოვნების მუშაკთა მე-6-ე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

რეზოლიუციის მიღება

ხელოვნების მუშაკთა კავშირის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები აქტუალურ მოხსენებათა გარშემო.

ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ მიღებული რეზოლიუცია გამგეობის მუშაობას საერთოდ დამაკმაყოფილებლად ცნობს და ამავე დროს ავალებს ახლად არჩეულ ცენტრალურ გამგეობას გამოასწოროს ის შეცდომები და ნაკლულოვანებანი, რომელიც ქონდა წარსული გამგეობის მუშაობას.

ასეთივე ხასიათის რეზოლიუცია მიღებულ იქნა ხელოვნების მთავარი [illegible] მუშაობის შესახებ; აქაც ყრილობამ საჭიროდ მიაჩნია დელეგატების მიერ აღნიშნულ ნაკლულევანებათა გამოსწორება. რაც შეეხება სახელმწიფო კინო-მრეწველობის მუშაობას, მის შესახებ ყრილობას რეზოლიუცია არ გამოუტანია, რადგან მოხსენება არ იყო სრული და უნაკლო. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობამ აირჩია [illegible] ახალი ცენტრალური გამგეობა. თვითეულ დელეგატს პერსონალურად ეყარა კენჭი.

ახალი ცენტრალური გამგეობა

ახალ ცენტრალურ გამგეობაში შევიდნენ შემდეგი ამხანაგები. ს. ქურიძე, თოხაძე, ბაიმატოვი, ალიხანოვი, [illegible], ყიასაშვილი, დიასამიძე, [illegible], ხორავა, [illegible], გ. [illegible], მელიქოვი, კუდრიაშოვი, ქუთათელაძე, ფიონისძირელი და [illegible].

პროფმუშაობის ქრონიკა

აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობაში

— **კულტმუშაობის მოსაწესრიგებლად.** აღმშენებელთა კავშირის ც. გ. გაგზავნა თავისი წარმომადგენელი გორისა და დუშეთის მაზრაში ადგილობრივ მუშებს შორის კულტმუშაობის მოსაწყობად.

— **საალმშენებლო კავშირის დაარსება დუშეთში.** განზრახულია საალმშენებლო კავშირის დაარსება დუშეთის მაზრაში.

— **ქუთაისის პროფბიუროში.** ქუთაისის პროფბიურომ წინადადება მისცა კავშირების მდივნებს მიიღონ ზომები, რომ სამსახურში პირველ რიგში მიღებული იქნენ კავშირის წევრები.

ფეიქართა კავშირში

— **შრომის პირობების გამოკვლევა.** ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ გადასწყვიტა შრომის დაცვის ინსპექციასთან ერთად მოაწყოს საფეიქრო წარმოება - და წესებულებებში შრომის პირობების გამოკვლევა.

— **კავშირის წევრთა რიცხვის ზრდა.** ფეიქართა კავშირის წევრთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ამჟამად კავშირი აერთიანებს — 1800 წევრს.

— **ქუთაისის მაუდის ქარხანაში.** ამჟამად მუშაობს 860 მუშა - ხელი. ამათგან 160 მუშა კავშირის წევრია, 200 კაცი კი დროებითი მომუშავე.

წითელ ჯარში

სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციების კონფერენციის შედეგები

(კონფერენციაზე წარმოთქმული [illegible] სიტყვა)

კონფერენციამ ჯამი გაუკეთა სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებათა მუშაობის ერთი წლის გამოცდილებას როგორც კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ნაწილებში, ისე ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებში.

მოხსენებიდან და აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან გადაიშალა მნიშვნელოვან მიღწევათა სურათი და აგრეთვე გათვალისწინებული იქნა შემდეგი ნაბიჯები მუშაობის ყველა დარგში.

ჩვენს სუსტ მხარეს ჯერ-ჯერობით წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამხედრო-სამეცნიერო უჯრედებში საკმარისად არ არიან ჩაბმული პოლიტიკური, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები.

ქარხნებს, ფაბრიკებს, სასწავლებლებს და სოფელს მთლიანად არ უგრძვნია ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციის საჭიროება.

ყოველ შემთხვევაში სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციების ის კადრები და მათი გაერთიანებანი, რომლებიც ამჟამად გვაქვს, დადგენ მტკიცე ნაყოფიერ მუშაობის და შემდეგი განვითარების ნიადაგზე.

„ამოცანები ორგანიზაციის დარგში

საჭიროა მომავალშიაც წინანდებური აქტივობით ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი მასები ჩვენს ორგანიზაციებში.

„თვითეული კომანდირი, პოლიტმუშაკი, წითელი არმიელი უნდა გახდეს სამხედრო-საზოგადოების აქტიური წევრი“.

პარტია და საბჭოთა საზოგადოებრიობა წარმოადგენს ჩვენი მუშაობის წარმატების და შემდეგი ზრდის ძირითად წინასწარ პირობას.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რათა წითელი არმიის არსებობის 8 წლის თავისათვის ყველა სამხედრო ნაწილებში მოეწყოს სამხედრო-სამეცნიერო წრეები.

ამასთან ერთად ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რათა დიდი ოქტომბრის მე-10 წლის თავზე ყველა სამოქალაქო კლუბებში, სოფლად, ქალაქად, და სკოლებში მოეწყოს სამხედრო ცოდნათა წრეები.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მუშაობის ხასიათი

შემდეგი ჩვენი მუშაობის სურათი უნდა იყოს გადახრა შეიარაღებულ კაპიტალისტურ მსოფლიოს სტიქიით გარემოცულ ჩვენი პროლეტარული ქვეყნის თავდაცვის საკითხების მეცნიერულად დამუშავებისაკენ.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება პირით მრავალმილიონიან მუშურ გლეხურ მასებისა და კლუბებისაკენ—ეს არის მე-2 კონფერენციის მთავარი ლოზუნგი.

არა მარტო სამხედრო ცოდნის პოპულიარიზაცია, არამედ სამხედრო ტეხნიკის და ხელოვნების შესწავლა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის თავდაცვის განსამტკიცებლად.

ჩვენ უნდა გამოვიდეთ დღევანდელ მომენტში ფართო გზაზე არმიის გარედ.

ფართოდ უნდა იქნას დაყენებული სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციების შექმნა ფაბრიკა-ქარხნებში, ქარხანაზე, სასწავლებლებზე და სოფელზე.

სამხედრო-სამეცნიერო ცოდნა უნდა დაუახლოვდეს სამოქალაქო მეცნიერებას. იგი წარმოადგენს ჩვენი პროლეტარული კულტურის მამოძრავებელ ფაქტორს, რომელიც ანვითარებს ჩვენს ეკონომიკას, ტეხნიკას და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ბრძოლის უნარიანობას.

არმიის ყოფა-ცხოვრების და ქვეყნის თავდაცვის ყველა საკითხები—ავიაციის, ქიმიის, სტრატეგიის, რადიო-ტეხნიკის და სხვა სამეცნიერო საკითხები უნდა იქნას დამუშავებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებაში.

მუშაობის მეთოდები სამხ.-სამეც. ორგანიზაციებში

აუდიტორია იძლევა სამეცნიერო თემებს, ხოლო უკანასკნელი წარმოშობს სექციას, რომელიც აძლევს ამ თემებს მეცნიერულ ფორმას.

არ უნდა ვავერიდოთ მუშაობის დაწყებას ცირიელ დარბაზის წინაშეც კი.

პროლეტარული მასები გაიგონებენ მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ხმას, როგორც დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ფხიზელ გუშაგის მოწოდებას.

დისციპლინა სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციაში

სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებებში არ არსებობს არც კვადრატები და არც რომბები.

ხეცნიერული ავტორიტეტი, საზოგადოებრივ-რევოლიუციონური დისციპლინა — აი ჩვენი სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციების შემოქმედებითი თვითმოქმედების საფუძველი.

მუშაობის პოპულიარიზაცია

ჩვენი მუშაობის პოპულიარიზაციის მიზნით და მშრომელთა ფართო მასებისათვის ტეხნიკურ საშუალებათა განვითარების დარგში მნიშვნელოვან მიღწევათა გასაცნობათ, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ და გავადიდოთ კორესპონდენტების არმია.

კონფერენციის დასკვნები

დამთავრებულ კონფერენციის უმთავრეს შედეგებზე უნდა ითქვას, რომ წარსულ გამოცდილებას ჯამი აქვს გაკეთებული. აღნიშნული დეფექტები და მიღწევები სისწორით გათვალისწინებული.

სამხედრო - სამეცნიერო ორგანიზაციებს კავკასიის წითელ-დროშოვან არმიაში და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

კონფერენციის დელეგატების აქტივობა და მათ ამომრჩეველთა ენერგია უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ წითელი არმია, საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობით ცალ ხელში თოფით, მეორე ხელში წიგნით მტკიცეთ მიდის მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

მ. ლევანდოვსკი.

ქრონიკა

ტყეების გამოკვლევა

საქართველოს ტყეების გამოკვლევის მიზნით შექმნილია სპეციალური კომისია.

შინამრეწველობის საბჭო

საქ. ს. ს. ს. საბჭოსთან დაარსდა შინა მრეწველთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. ყახარაული. საბჭო მუშაობს უკვე შეუდგა.

ქაღალდის ფაბრიკის დაარსების გარშემო

ჩვენში ქაღალდის ფაბრიკის აშენების მიზნით სწარმოებს წინასწარი მუშაობა. ფაბრიკის გეგმის შედგენა დავალებული აქვს საკავშირო ს. მ. უ. ს. საბჭოსთან მოწვეულ ქაღალდის ფაბრიკების წარმომადგენელთა ყრილობის ბიუროს. ეს გეგმა განსახილველად წარმოდგენილ იქნება 15 მაისს.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენი.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ ინჟ. ყიფშიძეს დაავალა გამოარკვიოს, მაზრის რომელ სოფელშია წყალსადენი აუცილებელი და რა ზომის მიღება იქნება საჭირო წყალსადენის გამოსაყვანად.

◆ **კომუნარების სახელობის ბაღის გაშენება** დაიწყება ამ დღეებში.

დამზღვევ სალაროში

◆ **სოციალური სნეულებანი.** სალაროს ცნობით, წელს დაზღვეულთა შორის სოცსნეულების დაავადმყოფების შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა.

◆ **დაზღვეული უმუშევრები.** დაზღვეულ უმუშევრებს შორის ყველაზე უფრო მეტ პროცენტს შეადგენს საბჭოთა მოსამსახურენი და მეღვინეები.

სხვადასხვა

— **გერმანიის მუშათა დელეგაციის ანგარიში** საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა ბერლინში მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რამდენიმე დღის განმავლობაში გავრცელდა 130.000 ეგზემპლიარი. განზრახულია მესამე გამოცემა 50.000 ეგზემპლიარის რაოდენობით.

◆ **თამბაქო.** საქ. სასოფლო-სამ. ბანკმა კახეთის რაიონში დაამზადა 10,000 ფ. თამბაქო რუსეთის მაზრისათვის.

◆ **აბრეშუმის სადგურების გამგეთა ყრილობა.** 2 აპრილს თბილისში გაიხსნება ა-კავკასიის მეაბრეშუმეთა ყრილობა.

◆ **ბამბის თესვა.** აფხაზეთში შეუდგნენ ბამბის თესვის კამპანიის მზადებას.

კრებები და მოხსენებები

◆ **მუზეუმის** საუდიტორიო დარბაზში პარასკევს, მარტის 5, სღ. 7 ს. შესდგება საქართვ. გეოგრაფ. საზოგ. პედაგოგიური განყოფილების წევრთა საერთო კრება. მომხსენებელია გ. ნიკოლაძე—„რკინის გამოდნობა მადნიდან და ჩათახის ქარხანა“.

შემთხვევები

◆ **კინო-კავშირის** საწყობიდან მოიპარეს ერთი კინო-აპარატი.

◆ **ფულის წართმევა.** 2 მარტს მათევოზ მიკირტჩიანცს ალ. და რეზო კაციტაძეებმა მოსტაცეს 133 მ. და მიიმალენ.

◆ **ქურდი ქალი.** 2 მარტს შეიპყრეს ანტონინა პორკონკო, რომელმაც მოქ. გრიგორიევს მოჰპარა ვერცხლის საათი.

◆ **ქურდობა.** 2 მარტს გაქურდეს შრომის ბირჟის არქივი.

ამავე დღეს გოგოლევის ქ. № 48 გაქურდეს მოქ. მგელაძის ბინა.

ცოლის მკვლელი

27 თებერვალს სოფ. ჯიმითში ამავე სოფლის მცხოვრებმა გიორგი ნიკოლოზისძე შავლიაშვილმა იჭვიანობის ნიადაგზე ხანჯლით მოჰკლა თავისი ცოლი მარიამ შავლიაშვილისა. მკვლელი შეპყრობილია. საქმეს იძიებს გურჯაანის უბნის გამომძიებელი. გამოძიების დამთავრების შემდეგ, საქმე ადგილობრივ გაირჩევა.

ა. კ. საგეგმო კომისიაში

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის გეგმა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შესახებ.

პროექტის განხილვის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. სავაჭრო-სამრეწველო სექციის მიერ წარმოდგენილი გეგმა ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის შესახებ გადასინჯული იქნეს, ამასთანავე დამატებით დამუშავებული იქნეს შემდეგი საკითხები:

ა) ატმოსფერული აზოტის გამოყენებელ მრეწველობის შესაძლებელ გაფართოვების გამო დამატებით დასაბუთებული იქნეს განზრახულ რაიონულ სადგურების დატვირთვა და სიძლიერე.

ბ) გამოკვლეული იქნეს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ტყიბულის ქვანახშირის გამოყენება თბოვადი ელექტროსადგურის ასაგებად.

ამასთანავე საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო, რომ ელექტროქიმიური და [illegible]ტროლითონის მრეწველობის გეგმა განხილული იქნეს არა უგვიანეს პირველი ივნისისა.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო დაუყოვნებლივ დაწყებული იქნეს ამიერ-კავკასიის წყალთა რესურსების გამოკვლევა; ამ მიზნით პრეზიდიუმმა დაადგინა დაწესებული იქნეს აღნიშნული სამუშაოს ჩატარების წესი.

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის სამასალო სამსახურის ქარხნებში.

მიუხედავად ამ ქარხნების უფროსების ხშირად გამოცვლისა, მაინც არ იქნა ამ ქარხნების ხელმძღვანელობის სათანადო დონეზე დაყენება.

სადურგლო ქარხანას არ აქვს მასალის საწყობი, რის გამო მასალა ცის ქვეშ დაყრილი ილპება და ამიტომ მისი დამუშავება მოითხოვს ორმაგ დროს და ენერგიას, თან ავეჯსაც ეკარგება გამძლეობა. ქარხანა მოკლებულია ტეხნიკურ და [illegible] პირობას: არ ათბობენ ქარხანას და მას არც უვარგა გასათბობი ფეჩები. თუ მუშებმა მოინდომეს მისი გათბობა, ქარხანა მაშინვე ეხვევა კვამლის ღრუბელში. ამის გამო აღებენ კარებს, რაც იწვევს მუშების გაციებას და ხშირ ავადმყოფობას.

მუშების ხელფასის გაცემის საკითხიც არ არის მოწესრიგებული. ამ ერთი თვის წინედ ამ ქარხნიდან მთავარ სახელოსნოში გადავიდა რამდენიმე მუშა. მათ არ გაუსწორეს სრული ანგარიში—ვალი გაქვთო, ნამდვილად კი არა სჩანს არც ვალი და არც მისი რაოდენობა.

ადგილკომიც ვერ იჩენს უნარიანობას მუშების ინტერესის დაცვაში და გადაიქცა ადმინისტრაციის დამატებად.

საუბნო კავშირო, შენ მაინც მიაქციე ამას ყურადღება!

მუშა მხილველი.

მუშაობა ასეთი უნდა.

18 თებერვალს ცეცხლის მქრობელთა რაზმის კლუბში მოწვეული იყო სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის საწარმოო კონფერენცია, მაგრამ დელეგატთა უმრავლესობის დაუსწრებლობის გამო, კონფერენცია გადაიდო.

იქ მყოფმა დელეგატებმა დაათვალიერეს ცეცხლის მქრობელთა რაზმი თავისი მოწყობილობით და უკანასკნელად მიღებული ახალი კონსტრუქციის წყლის საქაჩავი მილები. დელეგატებზე ხანძართან ბრძოლის გაუმჯობესებულმა ტეხნიკამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და სიამოვნებით ისმენდენ ბრანდმაიორის ამხ. ბერიძის ახსნა-განმარტებას.

ამხ. ბერიძემ მისცა მოულოდნელი სიგნალი ცეცხლის გაჩენის შესახებ და 32 წამის განმავლობაში გარაჟიდან გამოვიდა ავტომობილი ყოველგვარი მოწყობილობით. რაზმელები მედგრად გამოიყურებოდენ. ამხ. ბერიძის მიერ რაზმელები შეჩერებულ იქნენ და დაიწყეს პრაქტიკული მუშაობა. ჩვენ სიხარულის და განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეთ ცეცხლის მქრობელთა რაზმის კლუბი, რომელიც თვალწარმტაც სურათს წარმოადგენს. კლუბი მორთულია პლაკატებით და რევოლიუციონურ მოღვაწეთა სურათებით. ჩინებულადაა მოწყობილი „ლენინის კუთხე“. დაარსებულია „ავიაქიმის“ და სხვა კუთხეები და სხვ.

მუშა დელეგატი.

ცოლები სასეირნოდ დაჰყავთ.

(„უც. დ.“ ამხ. ივანოვის საყურადღებოდ).

ა. წ. 19 თებერვალს მატარებელ № 7 მოუბეს სამსახურის რონოდა, № 999, რომელიც გავიდა თბილისის სადგურიდან როსტოვისაკენ 3 ს. 40 წუთზე. ამ რონოდაში სასამსახურო მივლინებაში მიემგზავრებოდენ სამმართველოს სამი ინჟენერი. აღნიშნულ რონოდაში იყო მხოლოდ სამი დასაწოლი ადგილი, რომლისგანაც ორი ადგილი დაიკავა ინჟ. ლიუბანსკიმ თავის ამალით; ასე, რომ მესამე ინჟ. იძულებული გახდა მოთავსებულიყო რონოდის „სალონში“; არ ჰქონია ისეთი მივლინება ინჟ. ლიუბანსკის, რომ მას ცოლი თან არ წაეყვანოს და ამით არ შეევიწროებიოს სხვა მასთან კანონიერად თანამგზავრი.

ამხ. ივანოვი, ალბად, მოსთხოვს მას პასუხს.

მუშკორი მნახველი.

სად ვეძიოთ სამართალი?!

(ქალ. წყალსადენის საყურადღებოდ).

ყოფილი ქართული კლუბის ბაღის გვერდზე სცხოვრობს ხუთი მუშათა ოჯახი, რიცხვით ოცი სული. კლუბის ბაღიდან გამოყვანილია წყლის მილი მუშების ეზოში. აქვე იყო წყლის ონკანი, ძველთაგან გაკეთებული და ვიდრე მბეჭდავთა კლუბი გაიხსნებოდა, ხსენებული მუშები სარგებლობდენ უფასოდ ამ წყლით.

დოიჟანდელმა კლუბის გამგეობამ გადმოსვლისათანავე მოხსნა წყლის მილი და მოგვისპო წყალი. ჩავცვივდით უკიდურეს გაჭირვებაში.

ოთხ თვეზე მეტია, რაც ვემუდარებით კლუბის გამგეს და, მიუხედავად იმისა, რომ ინვალიდებიც კი არის [illegible], ჩვენ ვთხოვდით მოეცათ წყალი ჩვენთვის კანონით დაწესებულ ფასზე, მაგრამ ამაოდ.

ჩვენი თხოვნა არ შეიწყნარეს და სხვისი ეზოებიდან წყალს ვიპარავთ, მაგრამ როდემდის?... ჩვენ მიუტანეთ კლუბის გამგეს ადგილკომის შუამდგომლობა, აგრეთვე წყალსადენის გამგის სურვილი, რომ წყალი მოეცათ, მაგრამ ესეც უყურადღებოდ იქნა დატოვებული... ახლა არ ვიცით, სად ვეძიოთ სამართალი.

მუშკორი დარიჯანიშვილი.

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი.

ქალ. სამტრედიის ყოფილ ტეხნიკუმის და ეხლანდელ ცხრაწლედის გამგე დ. ღოღობერიძე ერთი იმ უპარტიო ენერგიული მუშაკთაგანია, რომელიც ცდილობს თავისი ცოდნა მოახმაროს მომავალ თაობის აღზრდას. პირველ დღიდან საქართველოში ჩამოსვლისა ამხ. ღოღობერიძე დგება სამტრედიის მაშინდელ გიმნაზიის მასწავლებელთა რიგებში, მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ ხდება ტეხნიკუმის გამგედ.

ვინ იცის, ამხ. ღოღობერიძეს, თუ რამდენი რევოლიუციონერი ახალგაზრდა გაუზრდია, თუმცა მას ბევრი ტანჯვა უგემნია მატერიალური მხრით 1921—22 წლებში, მაგრამ თავის სპეტაკ გრძნობისთვის ერთხელაც არ უღალატნია, და იმ დროს, როდესაც, მაგ., 1921 და 22 წ. მასწავლებლობა თითქმის „სანთლით საძებარი იყო“ მაშინდელ მცირე ჯამაგირის გამო, ამ დროს სამტრედიის ტეხნიკუმი ამაყობდა თავიანთი გამოცდილი მასწავლებლებით და, რასაკვირველია, ეს ყოველივე მისი წყალობით იყო.

ერთმა წელმა განვლო თითქმის მას შემდეგ, რაც სამტრ. ცხრაწლედი არ მინახავს, მაგრამ ამ რამოდენიმე დღის წინად განცვიფრებაში მოვედი მისი ნახვით, რადგანაც საგრძნობლად წინ წაწეულა, როგორც ინვენტარის, ისე სხვადასხვა მხარეებით. რასაკვირველია, ყოველივე ეს ამხ. ღ. ინიციატორობით არის გაკეთებული.

ასეთი ადამიანი მადლობის ღირსია.

ვ. გოგიშელი.

გამოუქვეყნებელი წერილებიდან

— **საბჭოთა სახლებს მეტი ყურადღება.** ჩვენი საბჭოთა სახლების მდგომარეობა საშინლად აპარტახებენ აღნიშნულ სახლებს. მაყურებელს გეგონება, რომ თითქოს ძათთვის ვინმეს დაევალებინოს აღნიშნული სახლების დანგრევა. აპობენ—ჩეხენ შეშას შიგ სახლებში. ინგრევა ჭერი, კედლები და იატაკები. სახლის კომენდანტები უძლური არიან მიიღონ რამე ზომები ამ ნგრევის წინააღმდეგ.

აღმასკომო, მეტი ყურადღებაა საჭირო ამ სახლებისადმი.

ლ. მ—ძე.

— **ექსკურსია ასეთი უნდა.** გინეკოლოგიური ინსტიტუტის ადგილკომმა ჯერ კიდევ ათი დღით ადრე გამოაცხადა, რომ თუ ვინმეს სურდა მიეღო მონაწილეობა ექსკურსიაში ტრამვაის ელსადგურის დასათვალიერებლად, წინდაწინ ჩაეწერა ექსკურსიის სიაში. სიაში ბევრი ჩაეწერა, ექსკურსიაზე გამოცხადდა მხოლოდ მეათედი ნაწილი.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც წავედით ელსადგურში. ტრამვაის დირექცია დიდის ყურადღებით და ფაქიზად მოგვეპყრა და ყველაფერი ხალისიანად დაგვათვალიერებინა და აგვიხსნა კიდეც, რისთვისაც მას უცხადებთ ულრმეს მადლობას.

იმ ამხანაგებს კი, ვინც ხელი შეუშალა ექსკურსიაში, უცხადებთ საყვედურს.

ალიბეგ.

— **გაბინძურებული ქუჩა.** ქ. ჭიათურაში შამბიანის ქუჩის ბოლო საშინლად გაბინძურებულია. აქ ყრია აყარებელი ნაგავი, რაც ჰაერს საშინლად სწამლავს. ეს ხდება ზამთარში. რა მოხდება ზაფხულში? ეს სიბინძურის ბუდე უნდა გასუფთავდეს, თუ გვსურთ და გაინტერესებთ ჩვენი მუშების ჯანმრთელობა.

მუშა ჭიათურელი.

— **გაანათეთ ეს ქუჩაც.** კამოს ქუჩის მარცხენა ფრთა საღამოობით საშინლად ბნელია. სახლის ფარნები საცოდავად ბჟუტავენ. თვით ტროტუარიც ადგილ-ადგილას დამტვრეულ-დანგრეულია. ლამის არის, გამვლელმა ფეხებიც მოიტეხოს. ამ ქუჩაზე წვიმის დროს გაუვალი ტალახი და ტლაპო დგება.

მუშა კარგი.

— **ამ მუშაკს უნდა დავეხმაროთ.** თბილისის ცენტ. ქართ. მუშფაკში სწავლობს ღარიბი გლეხის შვილი შორაპნის პარტკომის მიერ გამოგზავნილი, ამხ. შალვა სვ. მაღრაძე. ამხ. მაღრაძეს სტიპენდია არა აქვს. იგი მუყაითი და ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ მას არ გააჩნია არავითარი საშუალება არც სწავლის და არც არსებობის.

საჭიროა ამხ. მაღრაძეს დაენიშნოს სტიპენდია.

მუშკორი ლ. კ—ძე.

— **მოხსენება.** მეოთხე თამბაქოს ქარხნის მუშების საერთო კრებაზე ამხ. კუტიხაშვილმა გააკეთა მოხსენება ქარხნის წარმოების შესახებ. კრებამ წარმოების მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

— **საბავშო ბაგა.** მეოთხე თამბაქოს ქარხანაში დაარსებულია საბავშო ბაგა. სადაც უვლიან მუშა ქალების მცირეწლოვან შვილებს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საქონლის ჭირი

ახალ-ქალაქი, 3 მარტი. საქონლის ჭირი მაზრაში კლებულობს, რასაც ხელი შეუწყო თავის დროზე სათანადო ზომების მიღებამ.

ტრაქტორები

ახალ-ქალაქი, 3 მარტი. ახალ-ქალაქის საკრედიტო ამხანაგობამ გამოიწერა კეისის და ხოლტის სისტემის ტრაქტორები.

ტრაქტორების მუშაობის შესასწავლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კურსებზე თბილისში ორი კაცია გამოგზავნილი.

მატარებლის მსხვერპლი

ქუთაისი, 3 მარტი. 28 თებერვალს ღამით სამტრედიიდან მომავალმა მატარებელმა გაჭყლიტა გლეხი ბულუაშვილი.

ვაზების დამყნის კურსები

თელავი, 3 მარტი. სოფელ ურიათუბანში გაიხსნა ვაზის დამყნის კურსები 50 გლეხისათვის.

კურსებს ხელმძღვანელობენ კახეთის მეღვინეობის საცდელ სადგურის აგრონომები.

საგზაო მშენებლობა

თელავი, 3 მარტი. სამაზრო აღმასკომის ინიციატივით შეკეთებულია გზატკეცილი სოფელ ახმეტასა და ზემო-ხოდაშენს შორის. გაკეთებულია სამი ახალი ხიდი.

ნათესების სივრცის გაფართოება

თელავი, 3 მარტი. მდინარე ალაზანის ორივე ნაპირზე 4000 დესეტინის მანძილზე აკრავს წვრილი ტყე, რომელიც ხელს უწყობს მალარიის განვითარებას.

მიწათმოწყობის დროს ეს მიწები, რომელთაც ეწოდება „ჭალა“, გლეხებს გადაეცათ. ამჟამად გლეხები უკვე შეუდგნენ ამ ტყეების გაჩეხვას. მიუხედავათ სიცივისა, გლეხები ღამ-ღამობით „ჭალაში“ ათენებენ და გაცხოველებით აწარმოებენ ამ მუშაობას. ეს მიწები მეტად ნაყოფიერი იქნება ნათესებისათვის.

აჭარისტანი

ჩაის კულტურა

ბათომი, 3 მარტი. ჩაის კულტურის განსავითარებლად სახალხო-სამეურნეო ბანკმა ჩაქვის სახალხო მამულის სამმართველოს მისცა 50,000 მანეთი.

სახლი მუშებისათვის

ბათომი, 3 მარტი. აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო ამხანაგობამ დაამთავრა ქვის სახლის აგება სახელმწიფო ქიმიურ ქარხნის მუშებისათვის.

ახალი კურორტი

ბათომი, 3 მარტი. შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით ახალი კურორტი უნდა მოეწყოს დაბა ტირალაში (ქობულეთსა და ორთა-ბათომს შუა).

მომავალი კურორტი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ჭლექიანებისათვის.

კურორტმა უნდა დაიტიოს 300 ავადმყოფი.

საქონელი სოფელს

ბათომი, 3 მარტი. აჭარცეკავშირმა მაზრებში გაგზავნა 10,000 ფუთი მარილი, 2,000 ფუთი შაქარი, 1000 ფუთი ფქვილი, 2000 ფუთი სათესლე სიმინდი.

ამ დღეებში მიღებული იქნება ორი ვაგონი ლურსმანი და ჭურჭლეულობა.

სოფლის ფოსტა და გაზეთის გავრცელება*)

(წერილი გურიიდან)

წინათ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები იხსნებოდა ქალაქებში და ისეთ ადგილებზე, სადაც მას შემოსავალი ექნებოდა. მთავრობა ფოსტას უყურებდა როგორც სავაჭრო დაწესებულებას. ამიტომ იყო, რომ სოფელი წინათ მოკლებული იყო ფოსტის სარგებლობის საშუალებას.

დღეს იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც ფოსტ. ხელი არ მოუხვდება გლეხს შეუძლია მიიღოს ფოსტით ამანათები, დეპეშები და გაზეთები. განზრახულია მოძრავი ფოსტების დაარსება, რისთვისაც გადადებულია სათანადო თანხა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამანათების და წერილების ადრესატებისათვის თავის დროზე მიწოდებას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში გაზეთი. ჩემი აზრით, გაზეთების, როგორც გამოწერა, ისე ჩაბარება, უნდა მიენდოს მხოლოდ ფოსტის უწყებას. აქ საკითხი ასე უნდა დაისვას; ვის უფრო ადრე შეუძლია ჩააბაროს გლეხობას გაზეთები. ასეთი შეძლება არავის ისეთი არა აქვს, როგორც ფოსტის უწყებას. მრავალ რკინისგზამ დაშორებულ სოფლებში ეხლაც დადის ფოსტა ყოველ დღიურათ. მაგალითისათვის მოვიყვან გურიის ერთ-ერთ სოფლის ლიხაურის ფოსტას, რომელიც დაშორებულია ოზურგეთზე 6 ვერსტით.

5 თვე იქნება დაახლოვებით, რაც შეუდგა ეს განყოფილება გაზეთების მკითხველებისათვის მიწოდებას. და უნდა ითქვას, რომ საუცხოვო შედეგი მივიღეთ ამ ხნის განმავლობაში. თბილისის გაზეთებს ლიხაური ღებულობს მეორე დღეს, რისთვისაც გლეხები კმაყოფილებას გამოსთქვამენ, იშვიათათ ნახავთ ლიხაურში ისეთს, რომ არ ჰქონდეს გამოწერილი გაზეთი ფოსტით.

მოწერილი გაზეთი ფოსტით.

ჩვენ ლაპარაკი გვქონდა გაზეთების გამოწერა-ჩაბარებაზე, მაგრამ, აქაც უნდა ითქვას, რომ გაზეთების გამოწერის სისტემა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. განყოფილებებს უხდება ფულის ჩაბარება არა უგვიანეს 20 რიცხვისა კვანძ დაწესებულებებისათვის. ამ რიცხვის შემდეგ კვანძი დაწესებულებები აღარ ღებულობენ დავკეთას, თუ ფული არ იქნა ჩაბარებული, რაც იწვევს უსიამოვნებას. ცხადია გაზეთის გამომწერლებისათვის ვადას ვერ განვსაზღვრავთ. მათ შეუძლიათ, როცა იშოვნიან ფულს მაშინ შემოიტანონ. განყოფილებიდან გაგზავნილი ფული ჩერდება კვანძ დაწესებულებებში 26-27-მდე. შემდეგ თვით აღგზენე მოთხოვნილებას. ამ რიგათ სწარმოებს ორმაგი მუშაობა.

კარგი იქნებოდა, რომ კავშირით გამგეობის ოლქის სამართველო ნებას მისცემდეს ყველა განყოფილებებს და სააგენტოებს ნომრალური ტიპისას გადაუგზავნოს ფულები პირდაპირ თბილისის მთავარ ფოსტის კანტორას. ეს ერთი მხრივ ააადვილებს შრომას კვანძ დაწესებულებებს და მეორე მხრივ გაამრავლებს გაზეთზე ხელის მომწერლებსაც.

ვ—ალი.

---

*) წინადადების სახით. რედ.

წერილები

„მომეცით ელვა—ცეცხლი“

(წერილი თელავიდან)

შორეულ ხმეტას იქით, უდაბნო ტყეში, რომელშიაც აქა იქ პატარა ნაკათი მინდვრებია ჩაქსოვილი, იმალება პაწია სოფელი ხევსურებისა, სოფელი ბულაანი, რომელიც 19 კომლისაგან შესდგება. ის დაარსეს 1913 წელს შათილის მთებიდან გადმოხვეწილ ხევსურებმა, რომელნიც გამოექცნენ მკაცრ მეზობლებს, ქისტებს, რადგან მათ შორის „სისხლი“ ჩამოვარდნილიყო. სცხოვრობს ბულაანში ახალგაზრდა ხევსური, განთქმული მონადირე გიორგი ჭინჭარაული.

წარსულ იანვრის დასაწყისში გიორგი ჩამოვიდა თელავში, თავის სოფლის დავალებით ნავთის სასყიდლად „დიდი კოოპერაციაში“. საღამოს, სავაჭროებისგან რომ განთავისუფლდა, გიორგი შეუდგა ქალაქის დათვალიერებას. ხედავს, რომ ერთ ალაგას (თეატრის წინ) ბევრი ხალხია შეგროვილი სხვები, რომლებიც ემატებიან. მივიდა და შეუერთდა კრებას, ყურს უგდებს ვინ რაზე ლაპარაკობს. უცებ, რაღაცამ იელვა... რომ ამდენი ხალხი არ ყოფილიყო გარშემო ის აუცილებლივ გაგიჟდებოდა: იელვა და გაანათა ცეცხლმა შუქურამ ქვეყანა, თითქოს გათენდა. შეშინებული ხევსური ელექტრონის ბოძს შეჩერებოდა გაშტერებული.

„ეგ რა არი, საიდან მოვიდა“-ო!

„ძმებო, თუ არ შეგაწუხებთ, წამიყვანეთ მე იქ, საიდანაც მოვიდა ეს ელვა-ცეცხლი“ შეეხვეწა იქვე მდგომ კომკავშირლებს გიორგი; ახალგაზრდებმა, მთელი კრებულით, წამოიყვანეს ახალგაზრდა ხევსური ელექტრონის სადგურზე. გზაშიც ბევრი რამ უამბეს საგულისხმო და უცნაური.

სადგურის დათვალიერებამ და იქ ტეხნიკის მიერ მიცემულმა ახსნა-განმარტებამაც, გიორგი სავსებით დაარწმუნა, რომ მოწაფეხი არ ტყუოდენ.

„ამ ცეცხლს ელექტრონი ქვიან, უხსნიდენ შეგირდები: იცი, დადგება დრო, რომ ასეთს შუქურას თქვენშიაც გავიყვანთ. ჰო, მაგას ბევრი რამ შეუძლიან“... და მოაგროვეს ერთმანეთში ბილეთის ფული, რათა ცოცხლათ დაემტკიცებიათ ხევსურისთვის ამ სიტყვების სინამდვილე. გიორგი წაიყვანეს კინოში. როდესაც ეკრანზე დაიწყო შეტაკება, სროლა, გამოიქცა ცხენოსანი ჯარი აშიშვლებული ხმლებით, ხევსური კინაღამ გადაირია ფერწასულს ხანჯალზე ედო ხელი და უცდიდა იმ მომენტს, როდესაც მოლაშქრენი მოუახლოვდებოდენ. მაგრამ... საკვირველი საქმე: ისე გაქრენ ისინი, რომ არავისთვის ერთი ბეწო ზიანი არ მიუყენებიათ...

გიორგიმ მთელი ღამე ფიქრებში გაატარა. მის თვალებს ძილი ახლოც არ მიეკარებია. ბოლოს მან მტკიცედ გადაწყვიტა შეისწავლოს ელექტრონის საქმე და წაიღოს ის ხევსურეთის მთებში.

მეორე დღეს მას მზათ ქონდა დაწერილი ქაღალდი, სადაც თხოულობდა მიეცათ მისთვის საშუალება ელექტრონის შესწავლისა, და ამ განცხადებით, ახალგაზრდა ხევსური, ჯიხვის ტყავში გამოწყობილი წარუდგა მაზრის აღმ. თავმჯდომარეს. გულწრფელად უამბო მას ყველაფერი და თხოვა მიეღოთ მუშათ „ცეცხლის ქარხანაში“. „მე მერმე უნდა წავიღო ის ელვა-ცეცხლი მთებში“-ო დაასრულა მან. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა. ხევსური ჭინჭარაული დანიშნულია ელქტრო სადგურზე ზეთის წამსმელად 25 მანეთი ჯამაგირით თვეში.

გაეცა სადგურის გამგეს განკარგულება ასწავლოს ყველაფერი. ამხანაგ თავმჯდომარეს მხოლოდ ერთისა ეშინიან: „ვაი თუ ვერ გასძლოსო“, მაგრამ უკვე თვე შესრულდა, რაც გიორგი ბეჯითად მუშაობს და სწავლობს სადგურზე. მის ენერგიულ სახეზე გამოსჭვივის მტკიცე გადაწყვეტილება: „უნდა შევისწავლო“-ო.



გიორგი ჭინჭარაული

ე. კაკულია.

უიჩალი გამგე

(ს. ტეზერი, გორ. მ.)

ორითვის წინათ ს. ტეზრის თემსამკითხველოს მუშაობა მოისუსტებდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ სამკითხველოს დახმარებას არ უწევდა გლეხკომი და თემაღმასკომი. არ მოდიოდა გაზეთები გარდა „ახალი სოფლისა“, ისიც, თუ მოვიდოდა, ორ კვირაში ერთხელ.

პირველ თებერვლიდან გაზეთები სისტემატიურად მოდის. გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას შემდეგი გაზეთები: „კომუნისტი“, „მუშა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „ახალი სოფელი“. ვღებულობთ აგრეთვე ახალ ჟურნალებს და წიგნებს.

ბიბლიოთეკის გამგე, ამხ. გვარამაძე, ცდილობს გლეხობა დააინტერესოს გაზეთის კითხვაში. ხშირათ აწყობს საუბრებს და უკითხავს გლეხებს ხმა მაღლა გაზეთებს. ასეთი საუბრების მოწყობამ გამოიღო თავის ნაყოფი. ბევრმა გამოიწერა გაზეთები.

ბიბლიოთეკას დახმარებას უწევს კომუჯრედის წევრები. გამგე თვით ეხმარება მკითხველებს წიგნების გარჩევაში. მკითხველთა რიცხვი დიდია. სამწუხაროთ ბიბლიოთეკა თავის ღარიბი ლიტერატურით ვერ აუდის მოთხოვნილებას.

ტეზერელი გიგო.

ულირსი წითელი მეთაურები

(წერილი ქუთაისიდან)

რესტორანი „იალტა“. ცალკე ოთახი. საერთო დარბაზი სადაც გრიალებს მუსიკა და ცეკვავენ ვალს.

ყველა თავისებურად ცდილობს ზამთრის გრძელ და წყვდიად ღამეების გატარებას. ერთ-ერთ ასეთ ღამეს წითელი მეთაური ძამაშვილი თავისი მეგობრებით მოდის საქეიფოდ. ხუთნი იყვნენ, მაგიდაზეც ხუთი ბოთლი ღვინო იდგა. ჩვეულებრივი პარტია ასე ვთქვათ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სიცილ-ხარხარით რესტორანში შემოდის მეორე ჯგუფი: ორი ვაჟი, სამხედრო პირები და ორი ქალი. ესენი არიან ტიხონოვი და ილენკო. ახალი კამპანია იკავებს ცალკე კაბინეტს. ძამაშვილი იჩენს ძველ ოფიცრულ „ჯენტ[illegible]მენობას“ და შედის მათ კაბინეტში, ავსებს ჭიქას და დიდის პათოსით აცხადებს:

„მე ვსვამ არტილერისტების სადღეგრძელოს“. ვაშა, შესძახეს მეგობრებმა და გადაჰკრეს ერთად. ჭიქა ტუჩებზე აქვს ძამაშვილს, მაგრამ თვალები ქალებისაკენ გარბიან.

„მე ვსვამ „დამების“ სადღეგრძელოს, სთქვა მან და აიღო მეორე ჭიქა.

შემდეგ წითელი მეთაური (სრულიად [illegible] სადა ხარ), იწვევს „დამებს“ ვალსის საცეკვაოდ. იცეკვეს, ითამაშეს, თავი დაუბრუნდათ. ერთ „დამას“ გული შეუწუხდა. ძამაშვილმა ექიმიდა იკისრა. დაუწყო ხვევნა-კოცნა. ქალი უცებ გამოფხიზლდა და ამგვარ მკურნალობაზე სასტიკად გაწყრა. მის „კავალრებმა“ უბრძანეს ძამაშვილს, დაუყოვნებლივ გაბრძანდიო. როგორ, სადღეგრძელო დალია და ეხლა კი „მიაბრძანებენ“. წითელ მეთაურმა ეს თავისი შეურაცხყოფა, მაგრამ მაინც მიაბრძან[illegible] მეორეთ შემოვიდა. ხელახლა სთხოვეს გასულიყო.

„არ გავალ“, იყო მისი პასუხი.

ტიხონოვმა გადასწყვიტა არ ჩამორჩენოდა ძამაშვილს რაინდობაში და დაქალების შეურაცხყოფის მიუყენებისათვის მიიღო ზომები, რომ როგორმე თავიდან მოეცილებინა მაბეზარი სტუმარი. უფრო გაჯავრდა ძამაშვილი, დასახმარებლად მას ხომეზური მოეშველა.

ტიხონოვი კიდევ ერთხელ შეხვდებს „თქვენ გეუბნებიან რუსულად, დასტოვეთ ოთახი“. ძამაშვილი უპასუხებს: „მე კი გიპასუხებთ კავკასიურად“-ო და გავარდა რევოლვერი. ნაგანის ოთხმა ტყვიამ გაუმირა გული ტიხონოვს. ილენკომ სცადა გაქცევა, მაგრამ ძამაშვილმა კიდევ არ დაამთავრა „კავკასიური ლაპარაკი“ და მასაც გაუმასპინძლდა ჯერ ორით და შემდეგ მესამე ტყვიით.

შემდეგ გმირებმა „ნაგანი“ ვაჟკაცურად რიონში გადაისროლეს. ძამაშვილმა კი ნაწილის უფროსს განუცხადა, რომ მას სრულიად არ გაუსვრია, რადგან იარაღიც არ ჰქონია თან.

ეს ამბავი მოხდა იანვარში. თებერვალში კი ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა საქმე და [illegible] ძამაშვილს შეიდი წლ. თავის[illegible] სასტიკი იზოლიაციით [illegible] წლით.

ა. ბარინიძე.

სწავლა კვარის შუქზე

(ქვემო სვანეთი)

ქვემო-სვანეთში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ხაკმათ არის, მეცადინეობა ძალიან ცუდ პირობებში მიმდინარეობს. მსმენელებს დღით დრო არ აქვთ და ღამით სკოლაში ლამფა და ნავთი არ მოიპოვება, რომ გაანათონ და იმეცადინონ. თვით სვანებსაც არა აქვთ სახლში, რომ მოიტანონ.

ასე რომ, როცა დაღამდება, მოუკიდებენ დაჩეხილ კვარს და ასე, ევენ სკოლაში. მეცადინეობის დროს თვითეულს ცალ ხელში ანთებული კვარი უჭირავს და ცალი ხელით კი სწერს და კითხულობს ორი საათის განმავლობაში.

ასეთი მეცადინეობა დიდ ნაყოფს ვერ მოიტანს. ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

ჩრუხა.

უცნობი აგარაკი

(ს. ნეძვი, ბორჯომის ხეობა)

სოფ. ნეძვი სადგ. ქვიშხეთიდან, დაშორებულია 7 ვერსით. იგი ნაძვ-ფიჭვნარშია გახვეული და მდიდარია მჟავე წყლებით. აქაური მცხოვრებნი იმერეთიდან გადმოსახლებული გლეხებია.

ამ სოფელს საქართველოში ბევრი არ იცნობს. არის ზოგიერთი შემთხვევები, როდესაც აქ მოხვდებიან ხოლმე მოაგარაკენი, და დიდათ მადლიერნიც ბრუნდებიან უკან. მას მეორე წელიწადს უბრუნდებიან. ძალიან უხდებათ ხუთათშორის აქაური ჰავა ციებ-ცხელებით დაავადებულთ.

ერთად-ერთი ნაკლი სოფ. ნეძვისა არის რკინისგზიდან დაშორება და უგზოობა. ამჟამად გლეხებმა გადასწყვიტეს შეაკეთონ გზა მჟავე წყაროებიდან სადგურ ქვიშხეთამდე. მათ მიმართეს კიდეც მთავარ საკურორტო სამმართველოს დახმარებისათვის, მაგრამ პასუხი ჯერ-ჯერობით არ ისმის. ვფიქრობთ, რომ საკურორტო სამმართველო დაინტერესებული საავარაკო ადგილების და მათ ახალი მდებარე სოფლების კეთილმოწყობით. ამიტომ ნეძვლების თხოვნა არ უნდა დარჩეს უყურადღებოთ.

ბ—ლი.

სოფლის ქრონიკა

სოფლის ქრონიკა

— **ახალქალაქის** აღმასკომმა გადასცა დახმარების სახით მეფუტკრეთა ამხ-ბას „ფუტკარს“ 500 მან.

— **წერა-კითხვის სწავლა.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაავალა [illegible] წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მოსწავლეთა გამოშვება.

— **კრამიტის ქარხანა.** [illegible]

ხელოვნება

ქართული საოპერო სტუდიის სიმფონიური კონცერტი

ქართულ საოპერო სტუდიასთან არსებული ახალგაზრდა მუსიკოსების ორკესტრი ინტენსიურად მუშაობს ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. პერიოდულად, ყოველი ორი კვირის განმავლობაში, რუსთაველის თეატრის დიდ საკონცერტო დარბაზში იმართება სიმფონიური კონცერტები. ორკესტრს დღითი-დღე წარმატება ემჩნევა. სჩანს, რომ სერიოზული მუშაობა სწარმოებს, როგორც დირიჟორის, ისე თვით ორკესტრის მონაწილეთა მხრივ, საორკესტრო შესრულებაში სჩანს ბგერების უფრო სწორი დინამიკა, საუკეთესო ფრაზიროვკა და უფრო მკაფიო მელოდიური სურათი.

საანგარიშო კონცერტზე შესრულებული იყო ლისტის „პრელიუდი", როგორც სჩანს, [illegible]ალიაშვილს ბევრი უმუშავია ამ პოემაზე, [illegible]ან აქ საჭიროა ბგერების შეხმატკბილებით [illegible]ემის შინაარსის, მისი სიმბოლიური [illegible]ელობის გადმოცემა. შემდეგ შესრულებული გლაზუნოვის საკონცერტო ვალსი [illegible]ო სალონური ხასიათის არის, ვიდრე სიმფონიური, პროგრამის საორკესტრო ნაწილი დამთავრდა ჩაიკოვსკის სიმფონიური სურათით „იტალიური კაპრიჩიო"-თი.

აუდიტორიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მიგაიმ, რომელმაც შეასრულა ჩაიკოვსკის რომანსები. სარომანსო ლიტერატურა მოითხოვს გარეთა ხმისა ამა თუ იმ რომანსის შინაარსის მუსიკალურ ფორმებში გადმოცემის ცოდნას. არტისტმა თავისი გამოსვლით ვერ დააკმაყოფილა აუდიტორიის სერიოზული ნაწილი. ყველა რომანსები შესრულებული იყო ზერელეთ, ყალბი ფრაზიროვკით, რაც ყოვლად დაუშვებელია ხელოვნების ამ დარგში. არ იყო გადმოცემული განცდა, არ იყო მოცემული მკაფიო სურათი. უარყოფით შთაბეჭდილებას აძლიერებდა გადაჭარბებული მიმიკა, როგორც შესრულების დროს, ისე თვითეული რომანსის დამთავრებისას, როგორც სჩანს, გამოჩენილ საოპერო მსახიობს მიგაის მთელი თავისი ნიჭი საოპერო მუშაობისთვის დაუთმია, კამერულ შესრულებაში კი ის მოისუსტებს. უკეთესათ იყო შესრულებული რობერტის არია ჩაიკოვსკის ოპერიდან.

შესანიშნავი ხმა (სოპრანო) აქვს მომღერალ მაჭავარიანს (დაამთავრა პროფესორ რიადინოვის კლასი) მან მუსიკალურათ და ლამაზათ შეასრულა ნესტან-დარეჯანის არია რიმაზათ შეასრულა ნესტან-დარეჯანის არია ლეო ფალიაშვილის ოპერიდან „ვეფხის ტყაოსანი". ქუმსიაშვილმა ღრმა განცდით შეასრულა არია დაისიდან „თავო ჩემო". არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ ახალგაზრდა სტუდიელის თაქთაქიშვილის კომპოზიტორული შემოქმედება, მისი პატარა მუსიკალური სურათები, „სევდა" და „მწუხარება" დაწერილია განცდით, ძალდაუტანებლათ და მუსიკალურათ.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ოპერის თეატრში დღეს მიგაის და სტეპანოვას მონაწილეობით „სევილიელი დალაქი".

◆ „ოტელო". მუშათა ცენტრალურ კლუბში წარმოდგენილ იქნება „ოტელო".

◆ უშანგი ჩხეიძის ავადმყოფობა. აკად. დრამის მსახიობი უშანგი ჩხეიძე ამჟამათ ავათაა.

◆ ლენინის ძეგლი. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე ახლო მომავალში დაათვალიერებს ლენინის სამ საჟენიან ფიგურას ქვიდან. ძეგლი 1 მაისს დაიდგმება ქუთაისში.

◆ „ძინა-ძაძუ". „მეჟრაბპომ - რუს"-ის ახალი სურათი „ძინა-ძაძუ" პირველად ნაჩვენები იქნება თბილისში, შემდეგ კი მოსკოვში. სურათს აჩვენებენ მარტის შუა რიცხვებიდან.

◆ „შრომის ფრონტზე". რეჟისორმა ი. პერესტიანმა დაამთავრა სურათი „შრომის ფრონტზე"-ს გადაღება სურათი ნაჩვენები იქნება „ნათელას" შემდეგ.

◆ „დეზერტირკა". დღეს რუსთაველის თეატრში აკადემიური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა".

დღეს კინოებში

◆ აპოლლო—„ედმონდ კინი".

◆ არფასტო, სოლეი—„ნიბელუნგები".

◆ მინიონი, ოაზისი—„ებრაული ბედნიერება".

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება № 9.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სამოქალაქო სამართლის საპრ. კოდ. 291 მუხლის „ა" პუნქტისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლისა,

ადგენს:

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 291 მუხლის „ა" პუნქტს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

იმ თანხას, რომელსაც დაზღვეული შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დამზღვევ სალაროდან მიიღებს, როგორც დახმარებას, შეიძლება მიეცეს გადახდევინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდევინებელია სასამართლოს მიერ ამ დაზღვეულის ოჯახის წევრთა შენახვისათვის გადაწყვეტილი სარჩო (ალიმენტი).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წლ. თებერვლის „10".

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ს. კ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საღრიცხ. განმანაწ. განყოფილება შაბათს 6 მარტს დილის 10 საათზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს ერთიან პარტბილეთის მისაღებად:

ქურციძე ნიკოლოზ—უჯრ. № 7—, კოპაძე ილია, კობერიძე მალაქ—უჯრ. № 16—სარქისოვი ბიქტორ უჯრ. № 17. სარქისოვა ლიზა, გურ[illegible]ალოვი კოსტა ტინე, ფეოდოსევი ნიკოლოზ—უჯრ. № 20—, ჩერნიშევი დიმიტრი—უჯრ. № 18—, ბერზოვსკი იაკობ—უჯრ. № 70—, ავაქოვი ბაგრატ—უჯრ. № 54.

ქალაქის რაიკომი.

— 8 მარტს საღამოს 6 საათზე ქალაქის საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომის აგიტპროპ განყოფილების ბინაზე შესდგება ქალაქის რაიპროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა სარევიზიო კომ. სიასთან ერთად.

1) ავაკიანი, 2) გველესიანი, 3) ნიკოლაევა, 4) შტაუბერგი, 5) კოჩარიესკი, 6) ხახანოვა.

ქალაქის რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარე **მირიჯანაშვილი.**

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 4 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება მეტეხ რაიონის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

სავალდებულოა ყველა ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად.

განყოფილების გამგე **თენეიშვილი.**

— პარასკევს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის ბინაზე მოწვეულია **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საწარმოო უჯრედთა ბიუროების კონფერენცია.**

სავალდებულოა საწარმოო უჯრედთა ბიუროების ყველა მდივნების და წევრების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ხვანიძე.**

— რემედასის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 4 მარტს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე (პლეხანოვის პრ. 96) მოწვეულია რემედასის რაიკომის სხდომა.

სავალდებულოა რემედასის მეორე რაიკომის ყველა წევრთა დასწრება დაუგვიანებლად.

მდივნის მოადგილე **წითლიძე**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ 4 მარტს დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ბარსეგოვთან.

1) გიორგი მარგალიტაძე, 2) ბენიამინ დევიძე, 3) გიორგი კიკვაძე.

— ხუთშაბათს, 4 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის ბინაზე შესდგება ქალაქის რაიკომის აქტივის კრება.

სავალდებულოა ყველა პასუხისმგებელ მუშაკების და უჯრედთა ბიუროების წევრთა დასწრება.

დღის წესრიგში სდგას:

1. საკითხი—ყოფილ მენშევიკებს შორის მუშაობის შესახებ, (მომხს. კახიანი), 2. თბილისის კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგები (მომხს. სვანიძე).

ქალაქის რაიკომი:

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 4 მარტს საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხ. 96) გაიმართება მე-2 რაიკომის მიმღებ კომისიის სხდომა.

მდივანი **ფანცულაია.**

ავჭ. ქვერაიკომი ატყობინებს ქვემო დასახელებულ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ა | წ. 4 მარტს საღამოს 4 ს. ქვე-რაიკომის შენობაში მოხდება კანდიდატების წევრებათ გადარიცხვა და ახალი კანდიდატების დამტკიცება. დასწრება სავალდებულოა.

წევრებათ მტკიცდებიან: თეთრაძე მაქრო და ძებიაშვილი არშაკა, კანდიდატებათ მტკიცდებიან: მაგარდიჩევ სუხიშვილი ოლღა, კუზნეცოვა ირინე, ბუ[illegible]იაშვილი პავლე, ძებისაშვილი არჩილ. ნაზღაიძე გრიგოლ, წიკლაური ვანო, კვ[illegible]ცაძე ილია, ხუბეროვი სურენ. ხუბეროვი ივანე, ლაშუაშვილი ი გორ, ცინცაძე დიმიტრი, აზატფარაშვილი ივანე, კოზალოვი ლეონი, ჯიღაური ნიკოლოზ, მოსია სელიძე იოსებ, შერბაკოვი ანდრეი, მიქაძე კირილე, ამაშუყელი დიმიტრი, ბალანჩივაძე ავქსენტი.

ქვე-რაიკომის პ | მ მდივანი: **ლობჟანიძე.**

ღრმად დამწუხრებულნი: ელისაბედ კალდეაკისა, იოსებ კახიძე-ლაკი თავისი მეუღლით ევგენიათი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველისთვის—ძმა და მეორეს — ბიძა

დათიკო გაგნიძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან ნაშუადღევის 4 საათზე 4 მარტს: ბორჯომის ქ. № 6 დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

1741 1—1

დისწული თამარ და სიძე მიქაელ ძააზაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოთ გარდაიცვალა

დავით პავლეს ძე გაგნიძე

რომლის გამოსვენება მოხდება 4 მარტს, 4 საათზე, ბორჯომის ქ., № 6. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

1743 1—1

ღრმად დამწუხრებული მოხუცებული დედა ნინო და შვილი ძიძა დიდის მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნათესავებს

დათიკო პავლეს ძე გაგნიძის

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა 4 მარტს, ხუთშაბათს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან ნაშუადღევის 4 საათზე, ბორჯომის ქ. № 6.

1741 1—1

ილიკო სეფერთელაძე, იასე ზალდასტანიშვილი, სანდრო ფალავა, აკაკი კობახიძე, ალექსანდრე გძელიშვილი, გიორგი მაისაშვილი და სოსო რომანიშვილი აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 1 მარტს, შუადღის 11 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მუდამ დაუვიწყარი საყვარელი მეგობარი

დათიკო პავლეს-ძე გაგნიძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ბორჯომის ქ. № 6 ხუთშაბათს, 4 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

1742 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ლიზა (ელისაბედი), შვილი გრიშა (გრიგოლი), ბიძა და ძმა ლეოპანტი (ლეონა) და გერონტი ფოჩხიძეები, ცოლის—ძმაგანო ძელიძე, ძამიდაშვილი სიმონ მაჩაიძე, ცოლისდიშვილები: პანტელეიმონ და აკაკი ციხისლები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საყვარელი და დაუვიწყარ

სანდრო (ალექსანდრე) ალექსის ძე ფოჩხიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო შაბათს, 6 მარტს, წმინდა ნინოს ეკლესიაში 10—11-დე გადახდილი იქნება წირვა, 12—1-დე სასაფლაოზე პანაშვიდი.

1736 2—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ამხანაგები არშაკ ჩითაევი, არშაკ აივაზოვი და ფირუზ წვერიკმაზაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საყვარელ და დაუვიწყარ

სანდრო (ალექსანდრე) ალექსის ძე ფოჩხიძის,

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო შაბათს, 6 მარტს, წმინდა ნინოს ეკლესიაში 10—11-დე გადახდილი იქნება წირვა, 12—1-დე სასაფლაოზე პანაშვიდი.

1735 1—1

დამწუხრებული შვილები სოლომონ, გრიგოლ, ალექსანდრე და იოსები ოჯახობით, ქალები თებრონია ქუმსიშვილისა, ელისაბედ კოწოწიშვილისა და ოლღა ერისთავისა, სიძე ვანო ჩოხელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 3 მარტს, ამ ქვეყნიდან ეწვია გარდაიცვალა დედა მათი

მარიამ გრიგოლის ასული ქურდიანი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, გუნიბის ქუჩა, № 44. გამოსვენება იქიდანვე, პარასკევს, 5 მარტს, საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა ვერის წ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1745 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფი იასიდ რეხაჭირიას ძე ჩლაიძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საყვარელ და დაუვიწყარ

სანდრო (ალექსანდრე) ალექსის ძე ფოჩხიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო შაბათს, 6 მარტს, წმინდა ნინოს ეკლესიაში, 10—11-დე გადახდილი იქნება წირვა, 12—1-დე სასაფლაოზე პანაშვიდი.

1735 1—1

ელენე ნიკოლოზის ასული გოგიტიძე-[illegible] შვილებით ნადეჟდა და სანდრო, რუსუდან ნიკოლოზის ძე გოგიტიძე მეუღლით და შვილებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ დაუვიწყარ საყვარელი რძლის

ნადია გოგიტიძის

1730 უდროოდ გარდაცვალებას 1—1

ეკატერინე ნიკოლოზის ასული გოგიტიძე—ჩიგოგიძისა ცოლი ლევანისძე ჩიგოგიძე შვილებით: ნიკოლოზ, ვალერიან შესარიონ თავიანთი ცოლშვილით, ვერა და ნინო, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელ დაუვიწყარ რძლის

ნადეჟდა იესეს ასული გოგიტიძისა

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 4 მარტს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე, ვერის (ნიკოლოზის) ეკლესიის სასაფლაოზე —გამოსვენება საკუთარი ბინიდან, ლენინის ქუჩა № 15.

1732 1—1

სახელმწიფო კინო-მრეწველობის სააქციო საზოგადოების გამგეობა და დირექცია აუწყებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის წევრის—გამგე დირექტორის მეუღლე

ნადეჟდა იესეს ასული გოგიტიძისა

ნ. 855 1—1

ანეტა მიხეილის ასული და აკაკი ვასაძენი და მიხეილ ქადეიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი დაუვიწყარ ბიძაშვილის, მეორე—მუშაით ადამი ნის და მე ამე—ამისწულის

ნადეჟდა იესეს ასულის გოგიტიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 თებერვალს, საკუთარ ბინიდან ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე.

1734 1-1

და თეკლე იასეს ასული, სიძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და დისშვილები ტუპუნა და გიპსა დოლიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 თებერვალს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ნადეჟდა იესეს ასული გოგიტიძისა

1719 2—2

გერმანე იოსების ძე, კოტე და რემახ, ნინა ქაიხოსროს ასული გოგიტიძენი და დედა ანა მიხეილის ასული, გულ ოკლებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობს, რომ კვირას, თებერვლის 28-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და უგულითადესი მეგობარი, მეორეთა დაუვიწყარი უძვირფასესი დეიდიკო და მესამესი—რძალი

ნადეჟდა იესეს ასული გოგიტიძისა

სამოქალაქო პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, ხუთშაბათს 4 მარტს, 4 ნახ. საათ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ლენინის ქ. № 15.

1712 2—2

აპოლლო
ართფასტო
სოლეი

პირველად სეზონის საუცხოვო სურათი
„კინი"
(გენიოსი და სალახანა)
მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით
დღეიდან ზრძელდება ჩვენება მესამე კვირაში
1 და 2 სერია ერთად
მსოფლიო შედევრის
„ნიბელუნგები"
იჩქარეთ ნახვა
0—12 ნ. 785

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი
ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი"-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პროსპ. № 24
ტელეფონი № 10-49

რუსთაველის თეატრი
დღეს, 4 მარტს
დეზერტირკა
4 მოქმედებად
ჩამატებულია მე-3 მოქმედება
1—1 ნ. 853

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 4 მარტს
მიგაის და სტეპანოვას გასტროლი
სევილიელი დალაქი
მონაწ. სტეპანოვა, კავსაძე, ილინი, მიგაი.
პარასკევს, 5 მარტს
ტრილბი
შაბათს, 6 მარტს
მიგაი და სტეპანოვა
ტრავიატა
კვირას, 7 მარტს მიგაის უკანასკნელი გასტროლი
1. ევგენი ონეგინი 2. პიკის ქალი
არია ელეცკის
პ-1 ნ. 854

11 მარტს ა | წ. საღამოს 6 საათზე მუშკოოპის მთავარ შენობაში ყორღანის ქუჩა (ყოფ. კირკის № 7) პირველ სართულზე დანიშნულია

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-6 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ხელისუფლება და მუშათა კოოპერაცია
2. გამგეობის ანგარიში და ბალანსი 1 | 1-დან 1 | 10-მდე 24 წ. და 24 | 25 სამეურნეო წლების.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება და დასკვნა (კორინევი).
4. მოქმედების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა 25-26 წ. (მელიქარსკი).
5. განხილვა და დამტკიცება გადამუშავებულ წესდების.
6. დებულება რაიონულ საბჭოების, რაიონულ ბიუროების და საუბნო კომისების შესახებ (ბოლქვაძე).
7. სამანდატო კომისიის მოხსენება.
8. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მუშკოოპის გამგეობა სთხოვს რაიონულ კრებაზე არჩეულ რწმუნებულებს და კანდიდატებს დაესწრონ ყრილობას აღნიშნულ დროს.

2—1 ნ. 851 გამგეობა

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
ლითონის ტრესტის
ამხ. სტალინის
სახელობის
ავტო-სახელოსნო
კლარა ცეტკინის ქ. № 119, ტელ. 20—97
აწარმოებს
ავტომობილების, მოტოციკლეტების,
ტრაქტორების, აკუმულიატორების
და სხვა ელექტრო-ტექნიკურ ხელსაწყოების შეკეთებას
ჰყიდის ავტომობილებს, მოტოციკლეტებს და ყოველგვარ სისტემის ავტო-ნაწილებს.
10—9 ნ. 709

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
ИЗ
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ
ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА"
В МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ
ВНУТРИ КОРОБКИ

ავადმყოფობათა წამლობა
პროფესორ ბროუნ სეკარის წესის მიხედვით.
„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან".

„გალენ-მოსკოვის" კოოპერატივის ორგანოტერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებული პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევროსტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ჭლექი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
ИЗ
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM
SPIRITUOS
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН МОСКВА"
В МОСКВЕ

სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გ ა ლ ე ნ ი ს" ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. Адрес: Зак. представит. коопер. „Гален" Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ". Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооперат. „Гален-Москва" Москва ул. Герцена № 5 отд. 3. Б.425 0-23.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
0—14

მე 6 უბნის აქციზის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ა-წ. 6 მარტს დღის 12 საათზე ელისაბედის ქ. № 152.

იყიდება საჯარო ვაჭრობით

ჭაჭის სპირტი 1724 გრადუსი და თამბაქო დაჭრილი და ფოთოლი 358 კლგრ.

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობა ი.

ნ. 852 1—1

2 ქართულ დივიზიის საარტ. ლეგიონი

ამით აუწყებს საარტ. ლეგიონის სამმართველოს, საგაუბიცო დივიზიონის სამმართველოს 1 და 2-რე საგაუბიცო ბატარეის (ვალდებულ) შემადგენლობის წითელარმიელებს, დაბადებულთ 1899 წ. 1900, 1901 და 1902, წ., რომ ისინი ა | წ. 6 მარტს 7 საათზე უნდა გამოცხადდენ შეკრებაზე ლეგიონის შენობაში, ორთაჭალაში, ოფიცერ ხაპიორის კაზარმებში. მორიდებულნი შეკრებიდან იქნებიან დასჯილნი, როგორც დეზერტირები.

დრ. არტ. ლეგ. თავი: ე. ანთაძე.

სამხკომი: ბარამიძე.

1-1 1731 დრ. შტაბის უფროსი: ყამარიშვილი.

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო.
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილისა სახელობის
ნერვიულ დაავადებათა ამ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—18

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).
25—2

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი.
25—12

ექიმი ი. ი. ბეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და სად. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).
25—7

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—7

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან 2 საათამდე
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. ქუჩ. 25—7

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33. მ. იღებს ავადმყოფებს.
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—8

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღებასაღამოს 5—7 საათამდი. ბეიბუთოვის ქ. № 38. 25—7

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეზხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.
25—2

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე, სასამართლოს ქ. № 12. ტელეფონი 22—59.
12—5

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება სად. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22.
25—12.

დ. ამაშ
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—17

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—17

დოქტორი გ. მებრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზით, სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 სად. ბებუთოვის ქუჩა, № 23.
25—17

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები ,ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათ მდე.
25—17

ექიმი მ. ი. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. სად. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82.
25—13

ექიმი თოდაძე
ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ქვები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,— და სხვ.).
ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.
საღამოს 4—6 საათამდე
ბელგიის ქუჩა № 1.
25—24

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწორ რიცხვებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77
25—7

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ.
ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—3

ექ. ვასილი ნიკიფორესძე ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყ ფ ჩერქეზიშვ ლის ქ.) 87. 25—3

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35.
25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5 დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

დაიკარგა პარტ-ბილეთი № 495.637 სიმონ ნიკოს ძე გიგაიას სახელზე ჩ. გ 1733 ა. 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1688 შალვა ბაქრაძის ბუნაშვილის სახელზე ჩ. გ. 1744 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2 672 ანტონ ასლანის ძე დეგლიანიძის სახელზე, ჩ გ. 1740 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 17 და სამსახურის წიგნაკი № 22 ერმილე დანელიას სახელზე ჩ. გ. 1741 1—1

დაიკარგა მუდაკთა კ ვშირის წიგნაკი გაბრიელ მარკოზის ძე ბასიაშვილის სახელზე ჩ. გ. 1741 1—1

დაიკარგა სახელმწ. უნივ. მეტრიკული № 377 პ ვლე ნემსიწვერიძეს სახელზე, ჩ. გ. 1739 1—1

დაიკარგა საღრიცხვო ბარათი და წითელარმიელის წიგნაკი ვასილ ლაშქარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1732 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფ. № 4, № 15 კლემენტი ორაგველიძის სახელზე, ჩ. გ. 1733 ბ 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 20 ერმილე ზარქუას სახელზე, ჩ. გ. 1733 გ. 1—1

დაიკარგა საპასპორტო ნ სხა № 124, გრიშა შარუხიას სახელზე, ჩ. გ. 1733 დ. 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და კავშირის წიგნაკი № 2000 მ. ქუცარიძეს სახელზე, ჩ. გ. 1733 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ა.-კ. რკ. გზის დ 6,1—მიერ ქუთაისში ქეთო ალექსი პაიჭაძის ასულის სახელზე, ჩ. გ. 1729 1—1

ტირაჟი—24.479

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 6